იუსტიციის დაცვის სამსახური
საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა
და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

# წლიური ანგარიში
# 2009

2009 წელი იურიდიული დახმარების სამსახურისათვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო სამართლებრივი დახმარების სრულფასოვანი სისტემის განვითარების, საზოგადოების ნდობის მოპოვებისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების თვალსაზრისით.

განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ უფასო სამართლებრივ დახმარებაზე მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, ამიტომ მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ყოველდღიური ძალისხმევა.

გასულ წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა დაიწყო თანამშრომლობა კერძო სექტორში დასაქმებულ ადვოკატებთან, რომლებიც დარეგისტრირდენ მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში. რეესტრის ადვოკატებს, კანონით დადგენილ შემთხვევებში ევალებათ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მომსახურება, რამაც შეუფერხებელ და ეთიკის სტანდარტების შესაბამისი დაცვის განხორციელებას მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი.

დიდი ყურადღება დაეთმო თანამშრომლების პროფესიულ განვითარებასაც. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საკითხებზე ორგანიზებული ტრენინგები, რომლებიც დაეხმარა ჩვენს ადვოკატებს საქმიანობის სრულყოფაში.

სამსახურის ცნობადობის გაზრდისა და საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ჩატარდა მრავალმხრივი მუშაობა. ჩვენი ადვოკატებისა და კონსულტანტების მონაწილეობით პრაქტიკულად ყველა რეგიონში მოეწყო გასვლითი კონსულტაციები,

განსაკუთრებულად აღსანიშნავია საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობა იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარებაში და მათი ერთსულოვანი მხარდაჭერა.

მდგრადი და საიმედო იურიდიული დახმარების სისტემის, როგორც დაცვის კონსტიტუციური უფლების უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმის, სრულყოფის მიზნით რეფორმების განხორციელება მომავალშიც გაგრძელდება.

პატივისცემით,

**ირაკლი კოგიძე**
*იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი*

# შინაარსი


1. იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში 4

2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები 5

3. წარმატებული საქმეები 19

4. 2009 წლის საქმიანობის სტატისტიკა 25

5. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი 29

6. ადამიანური რესურსების განვითარება 32

7. იურიდიული კლინიკები 37

8. საზოგადოებასთან ურთიერთობები 39

9. არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია 42

10. საერთაშორისო ურთიერთობები 43

11. დონორებთან ურთიერთობები 45

12. ფინანსური ანგარიში 50

# 1. იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში

## მოკლე ისტორია

უფასო იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმა საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს სოციალურად ორიენტირებული და კვალიფიციური სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის გარანტიები ჩამოყალიბებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში. რეფორმა წარმოადგენს ამ გარანტიების პრაქტიკაში განხორციელების ეფექტურ მექანიზმს.

იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმა რამდენიმე ეტაპად წარიმართა მასში ჩართული იყვნენ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. 2004-2007 წლებში მომზადდა აუცილებელი ბაზა, იურიდიული დახმარების მოქმედი სისტემის წარმატებით დანერგვისთვის. აღნიშნულ პერიოდში ამოქმედდა „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის“ პილოტური პროექტი, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირება იურიდიული დახმარების ორმა ბიურომ დაიწყო. ერთმა დედაქალაქის გლდანი-ნაძალადევის რაიონი მოიცვა, მეორემ კი ზესტაფონის რაიონი. სწორედ აქ დაიწყო უფასო სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის ჩამოყალიბება. პარალელურად მიმდინარეობდა მუშაობა კანონის პროექტზე.

2007 წლის ივლისში, იურიდიული დახმარების შესახებ კანონის საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა. იმავე წლის ნოემბერში იურიდიული დახმარების ბიუროები ამოქმედდა კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში.

2008 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა, როგორც უფასო სამართლებრივი დახმარების ახალმა სისტემამ, მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა. დაიხვეწა შიდა მენეჯმენტი; საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული განვითარების მიზნით, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, ჩატარდა არა ერთი ტრენინგ-სემინარი; ამოქმედდა იურიდიული კლინიკების პროექტი; დაიწყო მუშაობა ადვოკატთა საქმიანობის შეფასების სისტემასა და პროფესიული ქცევის სტანდარტებზე; შემუშავდა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის პროექტი; დაიწყო მუშაობა საქმის წარმოების კომპიუტერულ პროგრამაზე; შეიქმნა სამსახურის ოფისების დამაკავშირებელი ერთიანი კომპიუტერული ქსელი; საზოგადოებრივი ადვოკატების პოზიტიური იმიჯის ფორმირების მიზნით გადაიდგა ნაბიჯები ცენტრალურ და რეგიონულ მედიასთან თანამშრომლობის მიმართულებით; იურიდიული დახმარების ბიუროებმა და საკონსულტაციო ცენტრებმა ათობით გასვლითი კონსულტაცია ჩაატარეს; შემუშავდა იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდის პროექტი და სხვა.

იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ოზურგეთსა და ამბროლაურში ამოქმედდა საკონსულტაციო ცენტრები. 2008 წელს საზოგადოებრივი ადვოკატების მომსახურებით 11176 მოქალაქემ ისარგებლა. მათ შორის 432 არასრულწლოვანი იყო. სამართლებრივი კონსულტაციისათვის კი იურიდიული დახმარების ბიუროებსა და საკონსულტაციო ცენტრებს 4682 მოქალაქემ მიმართა.

2009 წლიდან იურიდიული დახმარების სამსახურმა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით, ფუნქციონირება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში განაგრძო. იურიდიული დახმარების სამსახურში რეფორმების ახალი ეტაპი დაიწყო.

2009 წლის 5 აგვისტოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი – ირაკლი კობიძე საზოგადოების წინაშე სამსახურის სტრატეგიის პრეზენტაციით წარსდგა. მან ისაუბრა იურიდიული დახმარების სამსახურში განსახორციელებელ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებზე, რომლებიც იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას, საზოგადოების ინფორმირებასა და იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს შექმნას ითვალისწინებს. პრეზენტაციის ფარგლებში სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პრიორიტეტული მიმართულებების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. ღონისძიება, რომელსაც სახელმწიფო, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ, სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისო საბჭოს სამდივნოს ორგანიზებითა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერის“ ტექნიკური დახმარებით ჩატარდა.

**სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი, ქალბატონი ხათუნა კალმახელიძე:**

**როგორ გესახებათ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს როლი იურიდიული დახმარების სამსახურის შემდგომი რეფორმირების პროცესში?**

– იურიდიული დახმარების სამსახურთან მიმართებაში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს როლი განსაზღვრულია სპეციალური კანონით, რომელიც აყალიბებს ოპტიმალურ ბალანსს სამსახურის დამოუკიდებლობის პრინციპსა და სამინისტროს მაკონტროლებელ ფუნქციას შორის. მიუხედავად იმისა, რომ უფასო სამართლებრივი დახმარების სისტემის რეფორმის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, ძირითადი პასუხისმგებლობა იურიდიული დახმარების სამსახურის შეუფერხებელ ფუნქციონირებასა და ამისათვის აუცილებელი საბიუჯეტო რესურსების მობილიზებაზე ეკისრება სახელმწიფოს და, შესაბამისად, ჩვენს სამინისტროს. ამის გათვალისწინებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ, ერთი მხრივ, დაასაბუთოს ამ სამსახურის სამთავრობო დონეზე დაფინანსების პრიორიტეტულობა,

ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოს უფასო იურიდიული დახმარების სისტემის მდგრადობის მაღალი პოლიტიკური გარანტიების არსებობა, ეს ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა ჩვენს პარტნიორებთან ეფექტური თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

**რა პრიორიტეტები გაქვთ დასახული იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების კუთხით 2010 წლისათვის?**

– საქართველომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განახლებული სტრატეგიის განხორციელება 2009 წელს დაიწყო. ამ სტრატეგიის ფარგლებში ჩვენი სამინისტროსა და დონორი ორგანიზაციების ძალისხმევა კონცენტრირებული იქნება იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების ოთხი პრიორიტეტული მიმართულების მხარდაჭერაზე. ესენია: იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმირება და იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს ჩამოყალიბება. 2010 წელს დაგეგმილი გვაქვს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იურიდიული დახმარების ბიუროსა და საკონსულტაციო ცენტრის ჩამოყალიბება, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს მდგომარეობას რეგიონში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით.

**როგორ გესახებათ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა უფასო იურიდიული დახმარების სისტემის განვითარების თვალსაზრისით?**

– ჩვენი სამინისტროსთვის პენიტენციური სისტემის, პრობაციისა და იურიდი-

## იურიდიული დახმარების სამსახურის სტრატეგია 2009-2013

### იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა

იურიდიული დახმარების სამსახურის სამართლებრივი მომსახურების მოსახლეობის საჭიროებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფისათვის დაგეგმილია იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც განხორციელდება ინფრასტრუქტურისა და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების, ასევე დამატებითი ოფისების გახსნის, იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის მანდატის გაზრდისა და მოწვეულ საზოგადოებრივი ადვოკატთა ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის გზით.

### მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა

გაწეული იურიდიული დახმარების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისა და გუნდური სამუშაო გარემოს ხელშეწყობის მიზნით შემუშავდება იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ქცევის შიდა წესები, დაიხვეწება ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემა და გაგრძელდება თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადება.

### საზოგადოების ინფორმირება

გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია საზოგადოების მუდმივი ინფორმირება. რისთვისაც დაგეგმილია იურიდული დახმარების სამსახურის ვებგვერდის ინფორმატიულობის გაზრდა, გასვლითი კონსულტაციების ორგანიზება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთ თანამშრომლობის სრულყოფა. ამასთანავე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენტრალურ და რეგიონალურ მედიასთან თანამშრომლობა.

## იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო

იურიდიული დახმარების შესახებ კანონის თანახმად საბჭო უნდა დაკომპლექტდეს 7 წევრისაგან, რომელთაც ნიშნავს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი. საბჭოს ჩამოყალიბება და მისი ხელშეწყობა დამატებითი გარანტია იქნება იურიდიული დახმარების სამსახურის დამოუკიდებლობისათვის, მისი საქმიანობის გამჭვირვალედ და ეფექტურად წარმართვისათვის.

## იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფი

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებაში ჩართულია სხვადასხვა ორგანიზაცია. სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში შექმნილია იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფი, რომელშიც მონაწილეობენ იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, იურიდიული დახმარების სამსახური, საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტი, უზენაესი სასამართლო, სახალხო დამცველის ოფისი, ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA/CEELI), ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია საქართველოში (NORLAG), ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“ (OSGF), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კავშირი „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“, ადამიანის უფლებათა ცენტრი; კავშირი „21-ე საუკუნე“ და საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია.

ული დახმარების სამსახურების რეფორმის პროცესში მრავალმხრივი დიალოგის წარმოება ყოველთვის იყო პრიორიტეტული. სწორედ ამიტომ შეიქმნა სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა სამუშაო ჯგუფი, რომელიც სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ფარგლებში ფუნქციონირებს. ამ ფორმატში მუშაობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს სამოქმედო გეგმის კორექცია და რეფორმების პროცესი კიდევ უფრო ტრანსპარენტული გახადოს. საზოგადოების ნდობის მოპოვებაც სწორედ ამ პრინციპების დაცვით არის შესაძლებელი.

**რა მექანიზმებით აპირებთ იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას?**

– იურიდიული დახმარების სამსახურთან მიმართებაში სამინისტროს ფუნქცია ძირითადად საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და გაწეული მომსახურების ხარისხის მონიტორინგს გულისხმობს. მაგრამ სამსახურის საქმიანობის დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებიდან გამომდინარე ამ ფუნქციას მინისტრი სამეთვალყურეო ორგანოს – იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოს მეშვეობით ახორციელებს, რაც კანონითაა განსაზღვრული. 2010 წელს დაგეგმილია მონიტორინგის საბჭოს ამოქმედება, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის, უზენაესი სასამართლოს, პარლამენტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდება. კანონის თანახმად, მონიტორინგის საბჭო განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, დაამტკიცებს სამსახურის სტრატეგიას და განახორციელებს მონიტორინგს მის შესრულებაზე. გარდა ამისა, საბჭო მინისტრს განსახილველად წარუდგენს სამსახურის საქმიანობის დახვეწასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს.

# 2. იურიდიული დახმარების ბიუროები და საკონსულტაციო ცენტრები

## ინფრასტრუქტურის გაფართოება

2009 წლის დასაწყისში იურიდიული დახმარების სამსახურმა იმერეთის რეგიონში არსებული იურიდიული დახმარების ბიუროების განახლებული ოფისები გახსნა. იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2008 წლის ნოემბერ-დეკემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე განხორციელდა. ბიურო თანამედროვე ავეჯითა და უახლესი საოფისე ინვენტარით აღიჭურვა. ოფისი ჩართულია იურიდიული დახმარების სამსახურის ერთიან კომპიუტერულ ქსელში. აღსანიშნავია, რომ ბიუროში შექმნილია ყველა პირობა მოქალაქეებთან კონფიდენციალური საუბრისა და რამდენიმე მოქალაქისთვის ერთდროული მომსახურების გაწევისათვის.

იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები 2008 წლის ივლისი-დეკემბერის პერიოდში, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. ბიუროს ავეჯითა და საოფისე ინვენტარით აღიჭურვაზე ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ იზრუნა. მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ბიუროში მოწყობილია საკონსულტაციო კაბინები, რაც იურისტს და კლიენტს კონფიდენციალურ გარემოს უქმნის სამართლებრივ პრობლემებზე მუშაობის პროცესში. გარდა ამისა, იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროს აქვს საკონფერენციო დარბაზი, რომელიც სემინარების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრებისათვის გამოიყენება.

2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე მუშაობა გაგრძელდა. გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური დახმარებით სარემონტო სამუშაოები ჩატარდა შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიუროებში. 2010 წელს შიდა ქართლის ბიურო ფუნქციონირებას განახლებულ ოფისში გააგრძელებს, ხოლო სამცხე-ჯავახეთის ბიურო კი თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილ ოფისში პირველად ამოქმედდება და რეგიონის მოსახლეობას უფასო სამართლებრივ მომსახურებას თანამედროვე და მოქნილ სამუშაო გარემოში გაუწევს. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა საკუთარი ფინანსური რესურსებით ქვემო ქართლის ბიუროს ახალი ოფისის სარემონტო სამუშაოები განახორციელა.

## თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო 2005 წლის ივლისიდან მოქმედებს. ბიურო, სადაც სამართლებრივი დახმარების ახალი სისტემის პილოტირება დაიწყო, „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის“ პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა. დღეისათვის ბიუროში დასაქმებულია 30 საზოგადოებრივი ადვოკატი, 2 კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს ბატონი იმედა ბეროშვილი.

თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო იურიდიული დახმარების სამსახურის უმსხვილესი ოფისია, რომელზეც საზოგადოებრივ ადვოკატთა და წარმოებაში მიღებული საქმეების 1/3 მოდის. ამაზე სტატისტიკური მონაცემებიც მეტყველებს. 2009 წელს ბიუროს ადვოკატებმა მონაწილეობა მიიღეს 2972 სისხლის სამართლის საქმეზე. კონსულტანტებმა კი სამართლებრივი დახმარება 1490 მოქალაქეს გაუწიეს და 183 იურიდიული დოკუმენტი შეადგინეს.

აღსანიშნავია, რომ უკვე მეორე წელია თბილისის ბიუროს ბაზაზე იურიდიული კლინიკის პროექტი ხორციელდება. პროექტის ფარგლებში თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში სტაჟირებას გადიან თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები.

მიუხედავად დატვირთული სამუშაო გრაფიკისა თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები მონაწილეობენ იურიდიული დახმარების სამსახურის შესახებ საზოგადოების ინფორმირების პროცესში. 2009 წელს თბილისის ბიუროში დასაქმებულმა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა დევნილთა რამდენიმე კომპაქტურ დასახლებაში გასვლითი კონსულტაცია ჩაატარეს. გარდა ამისა, ისინი ჩაერთვნენ ისეთ მასშტაბურ აქციაში, როგორიც იყო „ანგარიში ხალხს“ და თბილისის მოსახლეობას უფასო სამართლებრივი დახმარების მიღების შესაძლებლობები გააცნეს.

## კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ახმეტის, თელავის, ყვარლის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონებს. კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 5 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს ქალბატონი ლიანა ჭუნიაშვილი.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 457 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 55 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს

კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 475 მოქალაქეს გაუწია და 156 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

სხვა ბიუროების მსგავსად არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია და დევნილთა პრობლემების შესწავლა კახეთის იურიდიული დახმარების ბიუროსთვისაც პრიორიტეტული აღმოჩნდა. 2009 წლის განმავლობაში კახეთის ბიუროს იურისტებმა თელავის №1, №2, №3, №4, №5, №6 და №7 საჯარო სკოლების, ასევე გურჯაანის №2 საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებთან შეხვედრები გამართეს.

გარდა ამისა, კახეთის იურიდიული დახმარების ბიურომ სამართლებრივი კონსულტაციები თელავში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს გაუწია. ბიუროს თანამშრომლებმა დევნილებს მიაწოდეს ინფორმაცია იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადასტურების, ლტოლვილის სტატუსის მინიჭების კანონით დადგენილი წესების, მიწის მფლობელობის, მემკვიდრეობისა და დევნილთათვის დაწესებული სახელმწიფო დახმარების შესახებ.

კახეთის ბიუროს წარმომადგენლებმა გასვლითი კონსულტაციები სხვა რაიონებშიც ჩაატარეს. გარდა ამისა, ბიურომ მონაწილეობა მიიღო აქციაში „ანგარიში-ხალხს“, რომლის ფარგლებშიც საქმიანობის შედეგებით თელავის მოსახლეობის წინაშე წარსდგა. აქციაზე მოსულ მოქალაქეებს სამართლებრივ თემებზე შედგენილი ბუკლეტები დაურიგდათ და ადგილზე გაეწიათ კონსულტაციები.

აღსანიშნავია, რომ 2009 წელს კახეთის იურიდიული დახმარების ბიურომ აქტიურად ითანამშრომლა გურჯაანის ტელევიზიასთან, რომელიც წლის განმავლობაში ბიუროს მუშაობასა და იურიდიული დახმარების სამსახურის სიახლეებს აშუქებდა.

## მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონებს. მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ქალბატონი ირინე ბოხაშვილი ხელმძღვანელობს.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 325 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 30 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 548 მოქალაქეს გაუწია და 121 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები დევნილთა იმ კომპაქტურ დასახლებებში გამართეს, რომლებიც მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად წარმოიშვა. სხვადასხვა პერიოდში უფასო იურიდიული კონსულტაციები წეროვანში, წილკანში, მისაქციელში, საგურამოსა და წინამძღვრიანთკარში ჩასახლებულმა დევნილებმა მიიღეს. ბიუროს იურისტებმა წეროვანისა და წილკანის დასახლებები „სახალხო დიალოგის“ ფარგლებში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან ერთად მოინახულეს. ცხინვალის რეგიონიდან დევნილებმა საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტებისგან მიიღეს ინფორმაცია ისეთი საკითხე-

ბის შესახებ, როგორებიცაა ომის დროს დაკარგული დოკუმენტების აღდგენის პროცედურები, საკუთრების უფლება, დევნილის სტატუსის მინიჭება, მემკვიდრეობა, სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრაციის წესები და სხვა.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ძეგვის მიმართულებითაც განახორციელეს. გარდა ამისა, ბიურომ აქცია 26 ივნისს, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესაც გამართა. საზოგადოებრივმა ადვოკატებმა და კონსულტანტებმა მცხეთის ცენტრალურ სკვერში გამოფინეს ნარკომანიის თემაზე გადაღებული ფოტოები, ხოლო სპეციალურად დამაგრებულ პლაკატზე სლოგანით „არა – ნარკოტიკებს!“ ყველა გამვლელს საშუალება მიეცა ხელის მოწერით გამოეხატა საკუთარი დამოკიდებულება აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით. ბიუროს თანამშრომლები მოქალაქეებს აცნობდნენ აქციის ძირითად მიზანს და ურიგებდნენ ნარკოტიკული დანაშაულების შესახებ მომზადებულ ბუკლეტებს.

2009 წელს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურომ გააგრძელა მუშაობა არასრულწლოვანთა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების საკითხზე. ბიუროს ორგანიზებით რაიონულ სასამართლოში მცხეთის N1 საჯარო სკოლის 16 წელს მიღწეული მოსწავლეებისათვის გაცნობითი ვიზიტები მოეწყო. მოსწავლეებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ სასამართლოს შენობა, სხდომის დარბაზები, სასამართლოს თანამშრომელთა სამუშაო ოფისების განლაგება, გაცნობოდნენ მოსამართლის მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად პრინციპებს, ასევე, სასამართლო აპარატში შემავალი სხვადასხვა თანამდებობის (კურიერი, მანდატური, სხდომის მდივანი, მოსამართლის თანაშემწე) საქმიანობის სპეციფიკას.

მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა არაერთი შეხვედრა საგურამოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთანაც მოაწყვეს. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ისეთ თემებზე, როგორიცაა ბავშვთა უფლებები, არასრულწლოვანი და ნარკომანია, ასევე სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. სამართლებრივი საკითხების მიწოდება ბავშვებისათვის სახალისო ფორმითა და ინტელექტუალური თამაშების მეშვეობით ხორციელდებოდა.

## ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქალაქ რუსთავს, ასევე გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის რაიონებს. ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, 2 სტაჟიორ-ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს ბატონი გიორგი ჭვინაშვილი.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 1123 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 62 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 387 მოქალაქეს გაუწია და 96 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო აქტიურად არის ჩართული იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციისა და მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების პროცეს-

ში. 2009 წელს ბიუროს იურისტებმა იმუშავეს ისეთ პრიორიტეტულ ჯგუფებთან, როგორიცაა არასრულწლოვნები, პრობაციონერები და დევნილები. გარდა ამისა, ქვემო ქართლის ბიურომ ყურადღება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და მედიასთან თანამშრომლობასაც დაუთმო.

სხვადასხვა დროს ბიუროს თანამშრომლები სტუმრობდნენ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ თონეთისა და დაბა მანგლისის №1 საჯარო სკოლებს, გარდაბნის რაიონის სოფელ ახალი სამგორის საჯარო სკოლას, ქალაქ გარდაბნის №1 საჯარო სკოლას, ქალაქ მარნეულის №5 საჯარო სკოლას, ქალაქ წალკის №1 საჯარო სკოლას, ქალაქ დმანისის №1 და №3 საჯარო სკოლებს, ქალაქ ბოლნისის №1 და №5 საჯარო სკოლებს. გარდა ამისა, ბიუროს იურისტებმა შეხვედრები გამართეს ქალაქ რუსთავის №1, №2, №4, №6, №13, №14, №16, №17, №21, №22, №26 საჯარო სკოლებისა და კერძო სკოლა „რუსთველის“ უფროსკლასელ მოსწავლეებთან. აღნიშნული ღონისძიებების მიზანი იყო არასრულწლოვანთა მართლშეგნების ამაღლება და მოსწავლეთა ინფორმირება მათთვის აქტუალური სამართლებრივი საკითხების შესახებ.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს დევნილთა პრობლემატიკას. ისინი სპეციალური ანკეტების მეშვეობით დევნილთა პრობლემებს იკვლევდნენ და ამ პრობლემების შესახებ საქმის კურსში აყენებდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეგიონულ სამმართველოს. ბიუროს იურისტებმა კონსულტაციები გაუწიეს სხვადასხვა სოფლებში, მათ შორის შაუმიანში, წინწყაროსა და ქვემო ბოლნისში, ასევე დაბა კოდაში ჩასახლებულ დევნილებს. კოდასა და შაუმიანში ვიზიტები ქვემო ქართლის ბიუროს იურისტებმა „სახალხო დიალოგის“ ფარგლებშიც განახორციელეს.

ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. 2009 წლის განმავლობაში ბიუროს წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრები წალკის, დმანისის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო და საჯარო რეესტრების ადგილობრივი ოფისების თანამშრომლებთან, პრობაციის ბიუროს ოფიცრებთან. შეხვედრების მიზანი იყო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება მოსახლეობის სამართლებრივი პრობლემების მოგვარების მიმართულებით.

ამ შეხვედრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი პრობაციონერებისათვის იურიდიული კონსულტაციების ორგანიზება იყო. პრობაციის ადგილობრივ ბიუროსთან თანამშრომლობით ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები ბოლნისის, თეთრიწყაროსა და მარნეულის რაიონებში მცხოვრებ პირობით მსჯავრდებულებს შეხვდნენ და განუმარტეს მათი უფლება-მოვალეობები. ბიუროს იურისტებმა ყურადღება გაამახვილეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გამოსაცდელი ვადის პერიოდში განმეორებით ჩადენილი დანაშაულის სამართლებრივი შედეგები, ასევე არასრულწლოვანი და სოციალურად დაუცველი პრობაციონერებისათვის კანონით დადგენილი შეღავათები. აღსანიშნავია, რომ უფასო იურიდიული კონსულტაციები ციხის საერთაშორისო რეფორმის რუსთავის რეგიონული ოფისის ორგანიზებით საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტებისგან არასრულწლოვანმა პრობაციონერებმაც მიიღეს.

აღსანიშნავია, რომ ბიურო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მედიასთან. გაზეთში “რუსთავი” დაიბეჭდა რამდენიმე ჩანართი, სადაც ბიუროს კონსულანტმა მოქალაქეთა შეკითხვებს უპასუხა. გარდა ამისა, ბიუროს აქტივობები გაშუქდა ბოლნისის ტელეკომპანია მე-12 არხის ეთერში.

## შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს კასპის, გორის, ქარელისა და ხაშურის რაიონებს. შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 5 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ბატონი გიორგი ჯეირანაშვილი ხელმძღვანელობს.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 442 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 47 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 360 მოქალაქეს გაუწია და 109 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს ბიურომ საქმიანობა გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით წარმართა. „შიდა ქართლის ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრადი გადასვლის ხელშეწყობის“ პროექტის (FOSTER) ფარგლებში ბიუროს იურისტებისათვის სხვადასხვა სემინარი ჩატარდა. გარდა ამისა, განხორციელდა არაერთი ღონისძიება ბიუროს შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

FOSTER-ის პროექტის მხარდაჭერით შიდა ქართლის ბიუროს იურისტებმა მოაწყვეს გასვლითი კონსულტაციები გორში, კარალეთში, მოხისში, შავშვებსა და ხურვალეთში მცხოვრები დევნილებისათვის. გასვლითი კონსულტაციების ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმა დევნილთათვის აქტუალური სამართლებრივი საკითხები განიხილეს. იურისტებმა დაარიგეს FOSTER-ის ფინანსური დახმარებით მომზადებული ბუკლეტები.

FOSTER-ის დახმარებით ტელე-რადიოკომპანია „თრიალეთის“ ეთერში გავიდა გადაცემები, რომლებიც უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას ითვალისწინებდა. ბიუროს მუშაობის შესახებ ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნდა რამდენიმე სტატია.

## იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო 2005 წლის ივლისში, „საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის“ პილოტური პროექტის ფარგლებში ამოქმედდა. 2007 წელს, იურიდიული დახმარების სამსახური შექმნის შემდეგ ბიურომ საქმიანობა იმერეთის იურიდიული დახმარების ბიუროს ზესტაფონის განყოფილების სახით გააგრძელა, ხოლო 2008 წლის ივლისიდან მას იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროს სტატუსი მიენიჭა. ბიუროს სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ზესტაფონის, თერჯოლის, ხარაგაულის, საჩხერისა და ჭიათურის რაიონებს. ამჟამად იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ბატონი გელა ბერაძე ხელმძღვანელობს.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 252 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 35 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 1568 მოქალაქეს გაუწია და 426 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო, საჩხერის მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობით, საჩხერის რაიონის მოსახლეობისათვის ყოველკვირეულ უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს ატარებდა. იმერეთის-ზესტაფონის ბიურომ გასვლითი კონსულტაციები ზედა საქარის და მეორე სვირის თემების მოსახლეობისათვის განახორციელა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს ბიუროს იურისტებმა ზესტაფონის რაიონში არსებული დევნილთა კომპაქტური დასახლებები მოინახულეს და კონსულტაციები აფხაზეთიდან დევნილებს გაუწიეს.

იმერეთი-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურომ არასრულწლოვანთა სამართლებრივი განათლების მიმართულებითაც იმუშავა. 2009 წელს ბიუროს იურისტებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და დაცვის უფლების რეალიზების თემებზე ლექციები ზესტაფონის №1 და №6 საჯარო სკოლების, საჩხერის №1 საჯარო სკოლის და ხარაგაულის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩაატარეს.

2009 წელს იმერეთი-ზესტაფონის ბიურომ ადგილობრივ ტელეკომპანია „არგოსთან“ ერთად მედია პროექტი „გპასუხობთ იურისტი“ განახორციელა. ტელეკომპანიის ეთერში ბიუროს იურისტებმა ისაუბრეს ისეთ თემებზე, როგორებიცაა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის წესი და მემკვიდრეობა, სესხის ხელშეკრულება და თავდებობა, მიწის ლეგალიზაცია, საქორწინო-საოჯახო ურთიერობები, ოჯახური ძალადობა, შრომითი ურთიერთობები, ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ნოტარიუსის საქმიანობასთან დაკავშირებული რჩევები და პრობლემები.

## იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქუთაისს, ასევე ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოსა და ტყიბულის რაიონებს. იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 8 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს ბატონი გელა სიორდია.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 1937 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 98 არასრულწლოვანის ინტერესის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 507 მოქალაქეს გაუწია და 75 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ქუთაისში კომპაქტურად ჩასახლებული დევნილებისათვის მოაწყვეს. გარდა ამისა, იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიუ-

როს თანამშრომლებმა სამართლებრივ საკითხებზე ლექცია ქუთაისის №9 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩაატარეს.

ბიუროს ბაზაზე იურიდიული კლინიკა ფუნქციონირებს. პროექტის ფარგლებში 2009 წლის პირველ ნახევარში სტაჟირება გაიარა ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტების პირველმა ნაკადმა. 2009 წლის ნოემბრიდან კი ბიუროში სტაჟირებას ამავე უმაღლესი სასწავლების სამართლის მაგისტრატურის სტუდენტთა ახალი ნაკადი აგრძელებს.

აღსანიშნავია, რომ წლის განმავლობაში იმერეთი-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურომ სხვადასხვა სემინარსა და ღონისძიებას, მათ შორის, სტაჟიორთა იმიტირებულ სასამართლო პროცესსაც უმასპინძლა. გარდა ამისა, ბიუროს იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს აქციაში „ანგარიში ხალხს“ და ბიუროს საქმიანობა ქუთაისის მოსახლეობას გააცნეს.

## სამეგრელო-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის რაიონებს. სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ბატონი რომან კეიდია ხელმძღვანელობს.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 565 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 13 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 444 მოქალაქეს გაუწია და 123 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს სამეგრელო-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურომ არა ერთი გასვლითი კონსულტაცია განახორციელა. ბიუროს იურისტები ხობისა და წალენჯიხის რაიონების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ასევე წალენჯიხის რაიონის ქალაქ ჯვარის, აგრეთვე სოფლების – ჯგალისა და ლიას მოსახლეობას შეხვდნენ. სამართლებრივი კონსულტაციები მიიღო ქალაქ ხობის, ასევე ხობის რაიონის სოფლების – საჯიჯაოს, ჭალადიდის, ნოჯიხევისა და პირველი მაისის მოსახლეობამ. მოქალაქეები ძირითადად უძრავი ქონების რეგისტრაციის, ქონების მემკვიდრეობით მიღების, მიწის ნაკვეთის დაკანონების, პენსიის დანიშვნის, სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციისა და სხვა საკითხებით ინტერესდებოდნენ. მათ სპეციალური საინფორმაციო მასალებიც დაურიგდათ.

სამეგრელო-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის ლექციები ჩაატარეს. სხვადასხვა დროს ბიუროს იურისტები ზუგდიდის რაიონის სოფლების – ანაკლიის, დარჩელის, ინგირის, კახათის, ოდიშის, ნარაზენის, ჯუმის, ცაიშის, ჭითაწყარის, ჩხორიას, ზედაეწერის, ჭკადუშისა და რიყეს საჯარო სკოლებს ესტუმრნენ. იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლებმა უფროსკლასელებთან და პედაგოგებთან იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკაზე ისაუბრეს, ასევე განიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების, დანაშაულის ცნების, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საკითხები. შეხვედრები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და აუდიტორიის დიდი ინტერესი გამოიწვია.

## სამეგრელო-ფოთის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ქალაქ ფოთს, ასევე სენაკის, აბაშისა და მარტვილის რაიონებს. სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 4 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ხელმძღვანელობს ქალბატონი ნათია ბოჯგუა.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 317 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 15 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 444 მოქალაქეს გაუწია და 123 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

2009 წელს სამეგრელო-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები გამართეს ფოთისა და მარტვილის მოსახლეობისთვის. გარდა ამისა შედგა შეხვედრები სენაკის №1, №2, №7 საჯარო სკოლების და ESM-ის სკოლის, სენაკის რაიონის სოფლების – მენჯის, ეკის, ზანისა და უშაფათის საჯარო სკოლების, ასევე აბაშისა და მარტვილის №1 და №2 საჯარო სკოლების უფროსკლასელ მოსწავლეებთან. არასრულწლოვნებმა მიიღეს ინფორმაცია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის, სხვადასხვა დანაშაულის, მათ შორის, ტრეფიკინგის, ნარკოტიკების მოხმარების, ქურდობის, ასევე საოჯახო სამართლისა და სხვა საკითხების შესახებ.

სამეგრელო-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტები მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას ტელეეკრანიდანაც ახორციელებდნენ. 2009 წლის განმავლობაში ფოთის ტელეკომპანია „მე-9 ტალღის“ ეთერში გადიოდა გადაცემა „ჩვენი უფლებები“, სადაც ბიუროს იურისტები წინასწარ დაანონსებულ სამართლებრივ თემებზე მოქალაქეთა შეკითხვებს პასუხობდნენ. გადაცემები მიეძღვნა ისეთ საკითხებს, როგორიცაა მემკვიდრეობა, სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაცია, დევნილთა უფლებები, საბანკო ურთიერთობები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, საპროცესო შეთანხმების არსი, აღკვეთი ღონისძიების სახეები და სხვა.

## აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო

ბიურო ამოქმედდა 2007 წლის ნოემბერში. მისი სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ბათუმს, ასევე ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქედის რაიონებს. აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროში დასაქმებულია 6 საზოგადოებრივი ადვოკატი, კონსულტანტი და სპეციალისტი. ბიუროს ქალბატონი იამზე ზანდარაძე ხელმძღვანელობს.

2009 წლის განმავლობაში ბიუროს ადვოკატები ჩართულნი იყვნენ 901 სისხლის სამართლის საქმეში. განახორციელეს 108 არასრულწლოვანის დაცვა. ბიუროს კონსულტანტმა სამართლებრივი კონსულტაციები 334 მოქალაქეს გაუწია და 65 სამართლებრივი დოკუმენტი შეადგინა.

აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა გასვლითი კონსულტაციები ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას, ხელვაჩაურის რაიონის სოფლების – გონიოსა და ახალშენის მოსახლეობისათვის ჩაატარეს. მოქალაქეები ძირითადად მიწის ნაკვეთზე საკუთრების აღიარებისა და სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის საკითხებით ინტერესდებოდნენ. მოსახლეობა გაეცნო იურიდიული დახმარების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკას, აგრეთვე უფასო საადვოკატო მომსახურებითა და სამართლებრივი კონსულტაციებით სარგებლობის შესაძლებლობებს. გარდა ამისა, აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს იურისტებმა ლექციები ბათუმის №1, №8 და №9 საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის ჩაატარეს.

აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროს ბაზაზე, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, იურიდიული კლინიკის პროექტი ხორციელდება. ბიუროში სტაჟირებას აღნიშნული უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის 6 სტუდენტი გადის. იმერეთის-ქუთაისისა და თბილისის ბიუროების მსგავსად, სტუდენტთა პირველმა ჯგუფმა აჭარის ბიუროში სტაჟირება 2009 წლის ივნისში დაასრულა. 2009 წლის ნოემბრიდან კი იურიდიული კლინიკის პროექტში მონაწილეობა სტუდენტთა ახალმა ნაკადმა განაგრძო.



## ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა 2008 წლის მაისში. ცენტრში დასაქმებული კონსულტანტი ქალბატონი იამზე მემარნიშვილი ემსახურება ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების მოსახლეობას. 2009 წელს ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრმა უფასო სამართლებრივი კონსულტაციები 849 მოქალაქეს გაუწია. მომზადდა სხვადასხვა სახის 121 იურიდიული დოკუმენტი.

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა იამზე მემარნიშვილმა იურიდიული დახმარების სამსახურის პოპულარიზაციის მიზნით რამდენიმე ღონისძიება განახორციელა. მისი ორგანიზებით ჩოხატაურის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და სოფლების რწმუნებულებისათვის, ასევე საჯარო და სამოქალაქო რეესტრების ადგილობრივი სამსახურების იურისტებისათვის გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურის პრეზენტაცია ჩატარდა. იამზე მემარნიშვილმა ვრცლად ისაუბრა სამსახურის მიზნების, საზოგადოებრივი ადვოკატებისა და კონსულტანტების საქმიანობისა და გაწეული მომსახურების შესახებ. ღონისძიების ბოლოს კი სტუმრებს საინფორმაციო ბროშურები დაურიგდათ.

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტმა იამზე მემარნიშვილმა ჩოხატაურის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისა და მოსახლეობისათვის მემკვიდრეობის თემაზე სემინარი ჩაატარა. გარდა ამისა, გასვლითი კონსულტაცია მოეწყო ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურის მოსახლეობისათვის. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საკონსულტაციო ცენტრი თანამშრომლობდა ადგილობრივ მედიასთანაც. გაზეთი „ალიონი“ და ტელეკომპანია „გურია“ პერიოდულად აშუქებდნენ ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის მუშაობასა და იურიდიული დახმარების სამსახურის სიახლეებს.



## ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი ამოქმედდა 2008 წლის ივნისში. ცენტრში დასაქმებული კონსულტანტი ქალბატონი თეა ჩიკვაიძე ემსახურება ონის, ამბროლაურის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების მოსახლეობას. 2009 წელს ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრმა უფასო სამართლებრივი კონსულტაციები 208 მოქალაქეს გაუწია. მომზადდა სხვადასხვა სახის 65 იურიდიული დოკუმენტი.

ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრმა გასვლითი კონსულტაციები ონის, ლენტეხისა და ამბროლაურის რაიონების სოფლების მოსახლეობისათვის განახორციელა. თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ცენტრის იურისტმა თეა ჩიკვაიძემ შეხვედრები რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი სამსახურის იურისტებსა და ამბროლაურის რაიონის სოფლების რწმუნებულებთან გამართა. გარდა ამისა, თეა ჩიკვაიძემ ლექციები ამბროლაურის №1 და №2 საჯარო სკოლების უფროსკლასელებისათვის ჩაატარა. საკონსულტაციო ცენტრის მუშაობა ადგილობრივ გაზეთში „ამბროლაურის მოამბე“ გაშუქდა.

## გრიგოლიშვილი, რომელსაც უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა, აღვოკატ მერაბ წკრიალაშვილის ღაწვარეობით უდანაშაულო სცნეს

ორი პირის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ მერაბ კ.-ს ინტერესებს თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი მერაბ წკრიალაშვილი იცავდა. მერაბ კ.-ს თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. საზოგადოებრივი ადვოკატის საქმეში ჩართვის მომენტისთვის უკვე დაწყებული იყო სასამართლო გამოძიება და დაკითხული იყო ბრალდების რამდენიმე მოწმე. ადვოკატ მერაბ წკრიალაშვილის მონაწილეობით დაიკითხა დაზარალებული, რომელმაც სასამართლოს განუცხადა, რომ მისთვის უცნობია თუ ვინ მიაყენა მას სხეულის მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები. ასევე, წარდგენილი ბრალდება ვერ იქნა დადასტურებული სხვა ჩვენებებითაც. სასამართლო გამოძიების მიწურულს, წერილობით მტკიცებულებათა გამოკვლევის დასრულების შემდეგ დაცვის მხარემ ასევე საეჭვოდ დააყენა ექსპერტიზის დასკვნების უტყუარობა.

საკამათო სიტყვაში მერაბ წკრიალაშვილმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც სრულად გამორიცხავდა მერაბ კ.-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას. სახელმწიფო ბრალდებამ სასამართლო კამათის დროს მოსამართლის წინაშე იშუამდგომლა მერაბ კ.-ს . განზრახ მკვლელობაში დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის სახით 17 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრის შესახებ. საზოგადოებრივმა ადვოკატმა სასამართლოს მიმართა თხოვნით თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლების შესახებ. საბოლოოდ სასამართლომ განსასჯელი მერაბ კ. უდანაშაულოდ სცნო და მის მიმართ დაადგინა გამამართლებელი განაჩენი.

**ადვოკატი**
**ბატონი გიორგი მდინარაძე:**

– გასულ წელს მე წარმატებული შედეგით დასრულებული ბევრი საქმე მქონდა. 14 შეწყვეტილი საქმიდან გამოვყოფდი ერთს, რომელიც ეხება საცავში უკანონოდ შელწევით ქურდობაში ბრალდებულ პირს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებოდა. პირველი ინსტანციის სა-

**ქალბატონი ნინო მესხი,**
**რომელმაც სამართლებრივი**
**დახმარებისათვის**
**ქვემო ქართლის ბიუროს მიმართა:**

მე სოციალურად დაუცველი ვარ. რამდენიმე წლის წინ მეუღლე დავკარგე. ოჯახის შემოსავალი ძალიან მწირია. მოხდა ისე, რომ ჩემს შვილს ადვოკატის დახმარება დასჭირდა. არ ვიცოდი, ვისთვის მიმემართა. კერძო ადვოკატის აყვანის საშუალება კი არ მქონდა.

ჩემს შვილს ქურდობაში ედებოდა ბრალი და სამწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. ახლობლის რჩევით მივმართე ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს, სადაც ძალიან თბილად შემხვდნენ, მომისმინეს. სამწუხაროა, რომ ასეთი დამოკიდებულებას დღეს იშვიათად შეხვდებით. აქ კი სწრაფად გაერკვნენ პრობლემაში და ჩემს შვილს დამცველად ადვოკატი – იოსებ ჯამასპიშვილი დაუნიშნეს. სოსო ძალიან გულისხმიერად მოეკიდა საქმეს. მოინახულა პატიმარი. ადგილზეც გაუწია კონსულტაცია. სოსოს დახმარებით სასამართლომ ჩემი შვილი დარბაზიდან გაათავისუფლა. რომ არა თქვენი სამსახური, ის დღესაც პატიმარი იქნებოდა. ეს კი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენს ყოფას კიდევ უფრო დაამძიმებდა.

მადლობელი ვარ ამ სიკეთისათვის. ვფიქრობ, რომ თქვენი სამსახური ყველა გაჭირვებულ ადამიანს გვერდში დაუდგება და დაეხმარება.

სამართლოში, მას შემდეგ რაც დადასტურდა, რომ საცავში შეღწევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია, ჩვენ მივაღწიეთ დანაშაულის გადაკვალიფიცირებას, სასჯელის მინიმუმის პირობითად ჩათვლასა და მსჯავრდებულის დარბაზიდან გათავისუფლებას. შემდგომ ეტაპზე კი დაზარალებული და მსჯავრდებული შერიგდნენ და ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

**რა მოლოდინი გაქვთ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით?**

– ძნელია იმის თქმა თუ რა გავლენას მოახდენს ეს საკანონმდებლო სიახლეები ჩვენს პრაქტიკაზე. ამას დრო გვიჩვენებს. თეორიულად თუ ვიმსჯელებთ, ახალი საპროცესო კანონმდებლობა ბევრად განსხვავდება არსებული სისხლის სამართალწარმოებისგან. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ადვოკატზე მტკიცებულებების მოპოვებისა და საქმეზე დართვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, შეიცვლება დაკითხვის წესებიც. ვფიქრობ, რომ ჩვენ ამ ცვლილებისათვის მზად ვართ, გამომდინარე იქიდან, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გვიტარდებოდა ტრენინგები აღიარებული ექსპერტების მონაწილეობით.

## გიორგი მდინარაძე ის ადამიანია, მსჯავრდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს ადვოკატი გიორგი მდინარაძე მსჯავრდებულ გოჩა დ.-ის ინტერესებს იცავდა. გოჩა დ.-ს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), კერძოდ, სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონოდ შეღწევით, რაც სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გირაოს გადაუხდელობის გამო გოჩა დ. პატიმრობაში იმყოფებოდა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოწმეთა და დაზარალებულის დაკითხვის შემდეგ გამოიკვეთა, რომ გოჩა დ.-ის მხრიდან საცავში უკანონო შეღწევას ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე საზოგადოებრივმა ადვოკატმა – გიორგი მდინარაძემ  იმავე მუხლის I ნაწილზე დანაშაულის გადაკვალიფიკაცირება, სასჯელის მინიმუმის (1 წლის) პირობითად ჩათვლა და გოჩა დ.-ის დარბაზიდან გათავისუფლება მოითხოვა. დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლის მოთხოვნა სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა.

ამის შემდეგ, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეებმა თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. ბრალდების მხარემ გოჩა დ.-სათვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, ხოლო საზოგადოებრივმა ადვოკატმა – სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა, რაც დაზარალებულისა და მსჯავრდებულის  შერიგების ფაქტით იყო განპირობებული. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საზოგადოებრივი ადვოკატის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა. გოჩა დ.-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა.

## იამზე მემარნიშვილის დახმარებით მოქალაქეებს სახელფასო დავალიანებას აუნაზღაურეს

იურიდიული დახმარების სამსახურის ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის იურისტმა იამზე მემარნიშვილმა, რომელსაც სახელფასო დავალიანების ანაზღაურების პრობლემით კონტროლის პალატის ყოფილმა თანამშრომლებმა მიმართეს, სასამართლოში მათი ინტერესების სრულად დაკმაყოფილებას მიაღწია.

ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრს მოქალაქეებმა საქართველოს პარლამენტში, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა უწყებებში მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემდეგ მიმართეს. კონსულტანტმა იამზე მემარნიშვილმა მათ პრობლემის სასამართლოში გადაწვეტა ურჩია და შესაბამისი დახმარებაც აღმოუჩინა.

2000-2001 წლებში კონტროლის პალატიდან დათხოვნილმა მოქალაქეებმა კონსულტანტ იამზე მემარნიშვილის მიერ შედგენილი სასარჩელო განცხადება შეიტანეს თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც მათი მოთხოვნა მთლიანად დააკმაყოფილა. თუმცა, მოპასუხე მხარემ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტის მიერ მომზადებული შესაგებელი სააპელაციო სასამართლოშიც შედეგიანი აღმოჩნდა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწვეტილება ძალაში უცვლელად დატოვა და მოსარჩელეებს 10 ათასი ლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება სრულად აუნაზღაურდათ.

**ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრის კონსულტანტი, ქალბატონი იამზე მემარნიშვილი:**

– ჩემ მიერ წარმოებული საქმეთა უმრავლესობა მოქალაქეთა სასარგებლოდ დასრულდა. პრაქტიკაში მქონია არაერთი შემთხვევა, როდესაც მოქალაქეები მათთვის სოციალური დახმარების მოხსნის პრობლემით მომმართავდნენ. ჩემ მიერ მომზადებული სხვადასხვა დოკუმენტების საფუძველზე მოქალაქეების უმრავლესობისათვის სოციალური დახმარება აღდგა. ასევე, გამოვყოფდი ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ მოქალაქეთა ჯგუფის მიერ აღძრულ კოლექტიურ სარჩელს, რომელიც სააპელაციო სასამართლოში მოქალაქეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებით დასრულდა.

იმის გათვალისწინებით რომ საკონსულტაციო საკითხები დაკავშირებულია სამართლის სხვადასხვა დარგთან კონსულტანტის საქმიანობა მართლაც რთულია. მაგრამ სამუშაო პირობები და ჩემი გამოცდილება საშუალებას მაძლევს წარმატებით გავართვა თავი დასახულ მიზნებს. ვცდილობ, ის მცირე თავისუფალი დრო, რომელიც მრჩება, ჩემი ცოდნის გაღრმავებას დავუთმო.

**თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს კონსულტანტი, ქალბატონი თეა ყაულაშვილი:**

– ჩემი დაკვირვებით, ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე მოქალაქეები ყველაზე ხშირად კონსულტაციებს სესხისა და იპოთეკის საკითხებზე, ასევე სამშენებლო კომპანიებთან წარმოშობილ დავებზე ითხოვენ. აქტუალურია ასევე მემკვიდრეობისა და ქონებრივი დავების საკითხები. წარმატებული საქმე ბევრი გვაქვს. არაერთხელ გადაგვიწყვეტია მოქალაქეთა სახელფასო დავალიანების მიღების პრობლემები. მინდა გავიხსენო ერთ-ერთი ბოლო საქმე, რომელიც მოქალაქის ინტერესების დაკმაყოფილებით დასრულდა. ქალბატონმა, რომელმაც კონსულტაციისათვის განქორწინების შედეგად მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფის პრობლემით მოგვმართა, საქმე მოიგო. ჩვენ შევუდგინეთ სარჩელი, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა და ამის საფუძველზე ქალბატონმა თანასაკუთრებიდან კუთვნილი წილის მიღება შეძლო.

მე მიმაჩნია, რომ პროფესიულ ცოდნასთან ერთად კონსულტანტს ისეთი თვისებებიც უნდა ახასიათებდეს, როგორიცაა კომუნიკაბელობა, მოსმენის უნარი და სხვა. უნდა იყო მობილიზებული იმისათვის, რომ მოქალაქის პრობლემა გაიზიარო და ამავე დროს, მზად იყო გაუწიო სათანადო კონსულტაცია. ეს ორი ფაქტორი კონსულტანტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

## თათია ნუკრაძის დახმარებით დევნილ მოქალაქეს სახელფასო დავალიანება აუნაზღაურდა

იურიდიული დახმარების სამსახურის ქვემო ქართლის ბიუროს კონსულტანტი თათია ნუკრაძე აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს გიგლა ც.-ს სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაში დაეხმარა. საქმის სრულყოფილად შესწავლის შემდეგ კონსულტანტმა გამოარკვია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობის პერიოდში გიგლა ც.-ს დაუგროვდა სახელფასო დავალიანება, რომელმაც 1146 ლარი შეადგინა.

თათია ნუკრაძემ, საქმეში არსებული დოკუმენტაციის შესაბამისად, მოამზადა სასარჩელო განცხადება, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის აღნიშნული დავალიანების გადახდის დაკისრება მოითხოვა. სასარჩელო განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განიხილა. მოპასუხე მხარემ აღნიშნული მოთხოვნა გააპროტესტა. თუმცა, სასამართლო დაეყრდნო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და პრობლემა მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

**ბატონი გიორგი სეგისკვერაძე, რომელმაც ერთხელ უკვე ისარგებლა იურიდიული დახმარების სამსახურის მომსახურებით, კონსულტაციების მიღებას კვლავაც თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროში აგრძელებს.**

– მემკვიდრეობის პრობლემასთან დაკავშირებით დამჭირდა მამის გარდაცვალების მოწმობის აღება. მივმართე სამოქალაქო რეესტრს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გაცემულ მოწმობაში გარდაცვალების წელი შეცდომით იყო მითითებული. თარიღის დასაზუსტებლად მივმართე არქივს. მაგრამ სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული მოწმობა და არქივში არსებული დოკუმენტური მასალა გარდაცვალების განსხვავებულ თარიღებს შეიცავდნენ, რამაც სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა და ბუნდოვანი გახადა. სწორედ ამიტომ მივმართე თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროს. კონსულტანტმა თეა ყაულაშვილმა ყურადღებით შეისწავლა ჩემი პრობლემა და შემიდგინა შესაბამისი სარჩელი, რომლითაც უკვე სასამართლოს მივმართე, რის შემდეგადაც სამოქალაქო რეესტრმა დაზუსტებული მოწმობა გასცა.

ამ დოკუმენტის მიღება ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავის გასაგრძელებლად, რაშიც სამართლებრივ კონსულტაციებს ისევ იურიდიული დახმარების სამსახური მიწევს. ვფიქრობ, ამ სამსახურის დახმარებით საქმეს წარმატებით დავასრულებ და სასურველ შედეგს მივაღწევ.

# 2009 წლის საქმიანობის სტატისტიკა

იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ 2009 წლის პერიოდში
წარმოებაში მიღებული სისხლის სამართლის საქმეები




არასრულწლოვანთა დაცვა 2009 წლის პერიოდში



იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ 2009 წლის პერიოდში
წარმოებაში მიღებული საქმეების საერთო რაოდენობა (9291)




სისხლის სამართლის საქმეზე საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის შესახებ
მომართვის ინიციატორი



## მოქალაქეთა მომართვები უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესახებ 2009 წლის პერიოდში




## 2009 წლის პერიოდში გაწეული კონსულტაციები



## იურიდიული დახმარების სამსახურის უფასო საკონსულტაციო მომსახურებით სულ უფრო მეტი მოქალაქე სარგებლობს

პრობლემების სამართლებრივი გზით გადაჭრას და ამ მიზნით უფასო იურიდიულ კონსულტაციებს სულ უფრო მეტი მოქალაქე მიმართავს. ამაზე მეტყველებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურის სტატისტიკა, რომლის თანახმადაც, წინა წელთან შედარებით, 2009 წელს უფასო კონსულტაციებით ორჯერ მეტმა მოქალაქემ ისარგებლა.

თუკი 2008 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის კონსულტანტებმა დახმარება ხუთი ათასამდე პირს გაუწიეს, 2009 წელს უფასო იურიდიული კონსულტაცია და სამართლებრივი დოკუმენტების შედგენის მომსახურება 10 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იურიდიული დახმარების სამსახურს უფასო კონსულტაციისათვის ძირითადად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, მემკვიდრეობის, უძრავი ქონების, საკუთრების უფლების, შრომითი ურთიერთობებისა და სხვადასხვა სოციალურ საკითხებში უკეთ გარკვევის მიზნით მიმართავენ. იურიდიული დახმარების სამსახურში კონსულტაცია უფასოა და ამ მომსახურებით სარგებლობა ნებისმიერი სოციალური კატეგორიის მოქალაქეს შეუძლია.



# მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი

5.

## რეესტრის ფუნქციონირების პრინციპები

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი უფასო იურიდიული დახმარების განხორციელების ერთ-ერთი მოდელია. იგი შეიქმნა უფასო სამართლებრივი დახმარების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით და ფუნქციონირებს შემდეგი სისტემით: იურიდიული დახმარების ფარგლებში მოქმედებს იმ კერძო ადვოკატთა მონაცემთა ბაზა, რომლებიც საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე მოქალაქეებს უფასოდ ემსახურებიან. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატები სისხლის სამართლის საქმეებში ერთვებიან იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუროს დახმარებისთვის დაპირისპირებული მხარეები მიმართავენ. ასეთ დროს იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატი ერთ მხარეს დაიცავს, ხოლო მეორე მხარეს დამცველად რეესტრის ადვოკატი დაენიშნება. იმ რეგიონებში, სადაც იურიდიული დახმარების ბიურო არ ფუნქციონირებს, სისხლის სამართლის საქმეებზე რეესტრიდან ადვოკატის დანიშვნას უზრუნველყოფენ იურიდიული დახმარების სამსახურის საკონსულტაციო ცენტრები.

იურიდიული დახმარების სამსახური მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატს სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისათვის ერთჯერადად ფიქსირებულ თანხას უხდის. გარდა ამისა, ანაზღაურდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატის მიერ განხორციელებული თითოეული მოქმედება.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატთა სისხლის სამართლის საქმეებზე დანიშვნის პროცედურა, შრომის ანაზღაურების ოდენობები და ანაზღაურების გაცემის წესი კერძო ადვოკატებთან, მოსამართლეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან აქტიური კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა და 2008 წლის დეკემბერში საბოლოო სახე მიიღო.

## რეესტრის ფორმირება

იურიდიული დახმარების სამსახურმა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება 2009 წლის იანვრიდან დაიწყო. რეესტრის ფორმირება ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე კანდიდატებმა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოადგინეს, ხოლო მეორე ეტაპზე კი მათთან გასაუბრება გაიმართა. აღსანიშნავია, რომ კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთი-ქუთაისის, სამეგრელო-ფოთის და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროებმა ამ საკითხს სპეციალური პრეზენტაციები მიუძღვნეს. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა ადგილობრივი მედიისა და რეგიონებში მოქმედი კერძო ადვოკატებისა ინფორმირებას.

გასაუბრების ეტაპი 2009 წლის მარტში დაიწყო. იურიდიული დახმარების სამსახურმა განსახილველად სულ 300 ადვოკატის განაცხადი მიიღო. აპლიკანტებთან გასაუბრების პროცესში ჩაერთვნენ სასჯელ-

აღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, უზენაესი სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, სახალხო დამცველის აპარატის, კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრის, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც წინასწარ შეიმუშავეს კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმები.

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი რეგიონული პრინციპით დაკომპლექტდა და მასში 120-ზე მეტი ადვოკატი ჩაირიცხა. მაისის თვეში რეესტრის ადვოკატებისათვის საორიენტაციო ტრენინგები ჩატარდა. სწავლების მიზანი იყო ადვოკატების ინფორმირება იურიდიული დახმარების სამსახურის სტრუქტურის, რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატების საქმიანობის სპეციფიკის, საქმეში ჩართვის პროცედურისა და შრომის ანაზღაურების შესახებ. ტრენინგს უძღვებოდნენ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების იურისტები – მელიტონ ბენიძე, ირაკლი შონია და გიორგი გიორგაძე, ასევე იურიდიული დახმარების ბიურების ადვოკატები. მაისის ბოლომდე 6 ასეთი ტრენინგი ჩატარდა და მოწვეული საზოგადოებრივი ადვოკატებიც საქმიანობას შეუდგნენ.

## რეესტრის ადმინისტრირება

მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირებისა და ამოქმედების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ამ სისტემის ეფექტური ადმინისტრირების უზრუნველყოფის საკითხი. სწორედ ამ მიზნით, ივნისის ბოლოს რეესტრის კოორდინატორად იურიდიული დახმარების სამსახურის სტაჟიორი ჯაბა უსენაშვილი დაინიშნა.

მოკლე პერიოდში რეესტრის კოორდინატორმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რეესტრის ადმინისტრირების პროცესი. დაიხვეწა საზოგადოებრივი ადვოკატების სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის სპეციფიკა და შემუშავდა ყველა საჭირო წერილობითი დოკუმენტის ნიმუში; შეიქმნა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა მონაცემების სრულყოფილი ელექტრონული ბაზა, რომელიც სამსახურის ვებგვერდზე განთავსდა. ასევე – მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა დატვირთვის სპეციალური ელექტრონული ჟურნალი და მისი წარმოების „გზამკვლევი“; გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები თბილისის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, იმერეთი-ქუთაისის, იმერეთი-ზესტაფონის და აჭარის რეგიონულ რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებთან; შეფასდა და გაიცა შესაბამისი ანაზღაურება 113 სისხლის სამართლის საქმეზე; მოწვეულ საზოგადოებრივი ადვოკატების საქმიანობის შეფასებასთან და განხორციელებული საპროცესო მოქმედებების ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ შემუშავდა შესაბამისი ახსნა-განმარტებები.

რეესტრის კოორდინატორი ძირითადად მუშაობს მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთათვის კონსულტაციების გაწევისა და მათთვის ტრენინგების ორგანიზების, ასევე რეესტრის საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმირების საკითხებზე.

## ჩეესტრის ადვოკატთა პროფესიული განვითარება

სისხლის სამართლის საქმეში ჩართვისას იურიდიული დახმარების სამსახურის საშტატო იურისტმაც და რეესტრის ადვოკატმაც მოქალაქეებს ერთნაირი მაღალხარისხიანი მომსახურება უნდა გაუწიონ. მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა კი შესაძლებელია მხოლოდ უწყვეტი პროფესიული განვითარების პირობებში. სწორედ ამიტომ, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატებს არა ერთი ტრენინგ-სემინარი ჩაუტარდათ.

გაეროს განვითარების პროგრამის „შიდა ქართლის ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრადი გადასვლის ხელშეწყობის“ პროექტის (FOSTER) ფარგლებში მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა შიდა ქართლის რეგიონულ რეესტრში რეგისტრირებული ადვოკატებისათვის რამდენიმე სემინარი ჩატარდა. სხვადასხვა პერიოდში ადვოკატები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შეფარდება, მატერიალური სისხლის სამართალი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ადვოკატის უნარ-ჩვევები.

ამერიკის იურისტთა ასოციაციის მხარდაჭერით სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის თემაზე სემინარები ჩაუტარდა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა თბილისის რეგიონულ რეესტრში რეგისტრირებულ ადვოკატებს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, ამერიკის იურისტთა ასოციაციის „კანონის უზენაესობის ინიციატივის“ ფარგლებში თბილისისა და ქვემო ქართლის რეგიონული რეესტრების ადვოკატები დაესწრნენ სემინარებს, რომლებიც სასამართლო უნარ-ჩვევების განვითარებისა და სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობის საკითხებს მიეძღვნა.

წინასასამართლო დაცვის, წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონმდებლობისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების საკითხებს მიეძღვნა სემინარები, რომლებიც ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიისა (NORLAG) და Human Dynamics-ის ორგანიზებით აჭარისა და კახეთის რეგიონული რეესტრების ადვოკატებისათვის ჩატარდა.

**ქალბატონი ლელა მარიამიძე მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრში 2009 წლის მაისში დარეგისტრირდა.**

– ტრენინგები, რომლებიც სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის სპეციფიკას მიეძღვნა, ჩვენთვის ძალიან სასარგებლო იყო. ეს კოდექსი მომავალი წლიდან შედის ძალაში და ჩვენ გათვითცნობიერებულები ვართ ყველა იმ მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რომელიც ადვოკატის ფუნქციის გაფართოებას ეხება. ამიტომ, იურიდიული დახმარების სამსახურის ძალისხმევას ამ კუთხით პოზიტიურად შევაფასებდი.

გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ კარგი, თანამშრომლობითი ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა ბიუროს უფროსთან. ის ხშირად გვეხმარება სხვადასხვა ანგარიშებისა და დანართების შევსებაში, რათა ჩვენი ანაზღაურების საკითხი სწრაფად და სამართლიანად გადაწყდეს. გარდა ამისა, პერიოდულად ვხვდებით რეესტრის კოორდინატორს. ის გვაცნობს ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებულ სიახლეებს, ისმენს ჩვენს რეკომენდაციებს და შესაძლებლობების ფარგლებში ითვალისწინებს მათ. ასე, რომ ჩვენს შორის ნდობა არსებობს, რაც ჩვენი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველია.

# 6. ადამიანური რესურსების გავითარება

## ადამიანური რესურსების მენეჯმენტი

2009 წელს Human Dynamics-მა, რომელიც ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ იმპლემენტაციაზე მუშაობს, იურიდიული დახმარების სამსახურთან ერთობლივი სამუშაო ჯგუფი ჩამოაყალიბა. სამუშაო ჯგუფის მიზანი იყო იურიდიული დახმარების სამსახურის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სისტემის დახვეწისა და სამსახურის თანამშრომელთა ქცევის შიდა წესების შემუშავების პროცესის ხელშეწყობა, ასევე იმ საკითხების განსაზღვრაც, რომელთა მიმართულებითაც საზოგადოებრივი ადვოკატები ცოდნის გაღრმავებისა და პრაქტიკული გამოცდილების შეძენის სურვილს გამოთქვამდნენ.

იურიდიული დახმარების სამსახურმა თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების, პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების, მათი რანგირებისა და შეფასების საკითხებზე მუშაობა 2009 წლიდან დაიწყო. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, „ინტეგრირებული მენეჯმენტის ჯგუფის“ ექსპერტებთან თანამშრომლობით იურიდიული დახმარების სამსახურმა ბიუროს უფროსების, საზოგადოებრივი ადვოკატების, კონსულტანტებისა და სპეციალისტების თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დახვეწა. ამ მიმართულებით მუშაობა 2010 წლიდან გაგრძელდება.

2010 წლიდან Human Dynamics-ის პროექტის ფარგლებში მოწვეულ ექსპერტთან ერთად დაიხვეწება სამსახურში თანამშრომელთა აყვანის პროცედურა, შეიქმნება კანდიდატთან გასაუბრების კითხვარი, აპლიკაციისა და კანდიდატის შეფასების ფორმები. ჩატარდება თანამშრომელთა მოტივაციის კვლევა და ამის საფუძველზე შეიქმნება წახალისების სისტემა. გარდა ამისა, შემუშავდება თანამშრომელთა ანგარიშგებისა და საქმიანობის შეფასების ფორმები.

2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის სტრუქტურა ახლებურად ჩამოყალიბდა. რეფორმა მიზნად ისახავდა იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას და მენეჯმენტის სისტემის დახვეწას.




როგორც მოცემული სქემიდან ჩანს, იურიდიული დახმარების სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ჰყავს მოადგილე და ასევე – დირექტორის თანაშემწე. აპარატის ფარგლებში მოქმედებს ადმინისტრაციული და საფინანსო, ასევე მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოები. აპარატის სისტემაში, დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში, მუშაობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობების მენეჯერი და ადამიანური რესურსების მენეჯერი. აღსანიშნავია, რომ აპარატის სტრუქტურის რეფორმირების შემდეგ, შემუშავდა აპარატში დასაქმებული თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციები.

2009 წელს გადაიდგა ნაბიჯები იურიდიული დახმარების სამსახურის ხუთწლიანი სტრატეგიის ისეთი პრიორიტეტული მიმართულების განვითარებისაკენ, როგორიც გუნდური სამუშაო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობაა. Human Dynamics-ის პროექტის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის აპარატის თანამშრომლები, იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსები და საკონსულტაციო ცენტრების იურისტები გუნდური მუშაობის პრინციპებს გაეცნენ. ორდღიანი სემინარის ფარგლებში მათ გუნდური მუშაობის პრობლემები, აქტიური კომუნიკაციის პრინციპები, იურიდიული დახმარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობების, ადამიანური რესურსების მართვის, ადვოკატთა სასწავლო საჭიროებები და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

2009 წელს იურიდიული დახმარების ბიუროს უფროსებისა და საზოგადოებრივი ადვოკატებთან კონსულტაციით მომზადდა იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა ქცევის შიდა წესების პროექტი, რომლის განხილვაც 2010 წლიდან სისხლის სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს იურიდიული დახმარების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაგრძელდება.

## სემინარები და ტრენინგები

მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა 2009-2013 წლებში იურიდიული დახმარების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტია. ამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული გადამზადების გარეშე. სწორედ ამიტომ იურიდიული დახმარების სამსახურმა, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, საზოგადოებრივ ადვოკატებს, კონსულტანტებს და სპეციალისტებს აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე არაერთი ტრენინგ-სემინარი შესთავაზა.

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ზაზა მეიშვილი:**

**საზოგადოებრივი ადვოკატისადმი ნდობის გამყარება იურიდიული დახმარების სამსახურის უმთავრესი პრიორიტეტია. როგორ ფიქრობთ, რამდენად უწყობს ხელს დღეს მოქმედი სისხლის სამართალწარმოების პროცესი საზოგადოებრივი ადვოკატის ეფექტურ საქმიანობას და რა ახალი შესაძლებლობები გაჩნდება ამ კუთხით სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ?**

– სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედების შემდეგ, ადვოკატის ეფექტური საქმიანობისათვის უფრო მეტი შესაძლებლობები ჩნდება. საუბარია შეჯიბრებითობის სისტემაზე, როდესაც სასამართლოს აქტიურობა ნულის ტოლფასია და მხარეები შეჯიბრებითობის რეჟიმში ატარებენ წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო პროცესს. ამ სისტემაში საზოგადოებრივი ადვოკატის წარმატება დამოკიდებულია მის კვალიფიკაციაზე, მოხერხებულობაზე და იურიდიული დახმარების სამსახურის სიძლიერეზე. შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაში ერთი ადვოკატის მომსახურება ფიზიკურადაც არ იყოს საკმარისი და რამდენიმე ადვოკატის ჩართვა გახდეს აუცილებელი, რისი შესაძლებლობაც ამ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელიც 2010 წელს ამოქმედდება, რადიკალურად ცვლის მოქმედ სამართალწარმოებას. იგი ახლებურად ადგენს შეჯიბრებითობის პრინციპს, მტკიცების სტანდარტებს და მნიშვნელოვნად ზრდის სისხლის სამართლის საქმის განხილვისას ადვოკატის როლს.

ამ გამოწვევას საზოგადოებრივი ადვოკატები მომზადებულები შეხვდებიან. 2009 წლის განმავლობაში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის თემაზე სწავლება ეტაპობრივად იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ადვოკატმა გაიარა. სემინარებს უძღვებოდა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – ზაზა მეიშვილი. საზოგადოებრივი ადვოკატები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა წინასასამართლო გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებები, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, აღკვეთის ღონისძიებები, სისხლის სამართლის საქმის განხილვა სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სხვა.

გაეროს განვითარების პროგრამის „შიდა ქართლის ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრადი გადასვლის ხელშეწყობის პროექტის“ (FOSTER) ფარგლებში შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიუროს ადვოკატებისათვის რამდენიმე სემინარი ჩატარდა. სხვადასხვა პერიოდში ადვოკატები გაეცნენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, საქართველოში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შეფარდება, მატერიალური სისხლის სამართალი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და ადვოკატის უნარ-ჩვევები.

საზოგადოებრივმა ადვოკატებმა ცოდნა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის საკითხშიც გაიღრმავეს. ქართველმა და გერმანელმა ექსპერტებმა, თბილისის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ბიუროების იურისტებთან განიხილეს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის კონცეფცია, წარმოება ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, კონვენციის მნიშვნელობა ეროვნული სასამართლოებისათვის, ასევე – კონვენციის მეხუთე და მეექვსე მუხლები, რომ-

ლებიც თავისუფლების, ხელშეუხებლობისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებებს მოიცავს. აღნიშნული სემინარები ჩატარდა იუს-ტიციის სასწავლო ცენტრისა და საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) მხარდაჭერით.

წინასასამართლო დაცვის, წინასწარი პატიმრობის შესახებ კანონმდებლობისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების საკითხებს მიეძღვნა სემინარები, რომლებიც ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიისა (NORLAG) და Human Dynamics-ის ორგანიზებით აჭარისა და კახეთის ბიუროების ადვოკატებისათვის ჩატარდა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურმა თანამშრომლების ტრენერებად გადამზადების საკმაო გამოცდილებაც შეიძინა. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) პროექტის ფარგლებში გადამზადებულმა საზოგადოებრივმა ადვოკატებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე თავიანთ კოლეგებს ექვსი ტრენინგი ჩაუტარეს და გააცნეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ძირითადი საერთაშორისო სტანდარტები და კანონმდებლობა, ბავშვის დაკავების პროცედურები, დამნაშავეების, დაზარალებულებისა და მოწმეების დაკითხვისა, საგამოძიებო და სასამართლო პროცედურები.

კოლეგებს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებში ცოდნა ქვემო ქართლის ბიუროს უფროსმა – გიორგი ჭვინაშვილმაც გაუზიარა, რომელმაც ამ თემაზე ტრენერთა მომზადების

სამსახურს, თავისი მოქნილობიდან გამომდინარე, აქვს. მნიშვნელოვანია, რომ იურიდიული დახმარების სამსახურისა და დონორი ორგანიზაციების ძალისხმევა საზოგადოებრივი ადვოკატების პროფესიული დაოსტატების კუთხით მომავალშიც გაგრძელდეს.

**იურიდიული დახმარების სამსახურის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოქალაქეთათვის ადვოკატის დანიშვნის შესახებ მომართვების 46%-ზე მეტი სწორედ სასამართლოზე მოდის. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტურად ურთიერთქმედებენ სასამართლო ორგანოები და იურიდიული დახმარების სამსახური? რა შესაძლებლობები არსებობს ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის?**

– მე ვფიქრობ, რაც უფრო ეფექტურად მუშაობს იურიდიული დახმარების სამსახური, მით უფრო ეფექტურია სასამართლო. როდესაც სასამართლო კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების დროს ადვოკატად ნიშნავს იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენელს, მნიშვნელოვანია, რომ არც სასამართლო შეცდეს ამ გადაწყვეტილების მიღებაში და იურიდიული დახმარების სამსახურმაც სრულყოფილად შეასრულოს თავისი მოვალეობა დაცვის უფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები და, ზოგადად, ეს სამსახური, ასევე, სასამართლო და მოსამართლეები, დაინტერესებულნი არიან, ადამიანის უფლებების დაცვით. ადამიანის უფლებათა დაცვაში იგულისხმება სამართლიანი მართლმსაჯულება, რაც ასევე დაცვის უფლების უზრუნველყოფას გულისხმობს. შეჯიბრებითობის სისტემაზე გადასვლა მოითხოვს უფრო მეტ პასუხისმგელობას, კომპეტენტურობას და, რაც მთავარია, უფრო ფართო შესაძლებლობას იძლევა იმისთვის, რომ მხარემ მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღოს.

კურსი ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროექტის ფარგლებში გაიარა. „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ მხარდაჭერით მან ორი სემინარი თბილისის, ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ადვოკატებს ჩაუტარა. აღსანიშნავია, რომ გიორგი ჭვინაშვილთან ერთად ტრენერთა ტრენინგს სამეგრელოს-ზუგდიდის ბიუროს ადვოკატიც ნინო მინჯიაც დაესწო, რომელიც კოლეგებისათვის სემინარებს მომავალი წლიდან გამართავს.

2009 წელს Human Dynamics-ისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ექსპერტთა ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა საზოგადოებრივი ადვოკატების ინტერესების კვლევა ჩაატარა და განსაზღვრა ის საკითხები, რომელთა გადასაჭრელად შემდგომი სასწავლო ღონისძიებები დაიგეგმება.

გამოკითხვამ, რომელშიც მონაწილეობა ყველა საზოგადოებრივმა ადვოკატმა მიიღო, აჩვენა, რომ იურდიული დახმარების სამსახურის იურისტებისათვის აქტუალობას კვლავაც სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კანონმდებლობა ინარჩუნებს. ამის გათვალისწინებით, ტრენინგების სასურველ საკითხებს შორის დასახელდა მტკიცებულებათა მოპოვება და მათი წარდგენა პროცესის მწარმოებლის წინაშე, საგამოძიებო მოქმედებები, ბრალდებულის პირველი წარდგენა სასამართლოში, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი, წინასასამართლო სხდომა, საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, არასრულწლოვანთა საქმის განხილვის თავისებურებანი და სხვა.

გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატები ტრენერთა ტრენინგის, სამართლებრივი წერის უნარების, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის, ტრეფიკინგის, ექსტრადაციის, სასჯელაღსრულების კანონმდებლობის, არასაპატიმრო სასჯელებისა და პრობაციის საკითხებით დაინტერესდნენ.

ცნობილია, რომ 2010 წელს ძალში შევა პატიმრობის ახალი კოდექსი, რომელიც ახლებურად არეგულირებს პატიმართა დისციპლინარული პასუხისგებლობის საკითხს. კოდექსის თანახმად, უფასო იურიდიული დახმარების მიღების საშუალება ექნება იმ პატიმარს, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება. ამის გათვალისწინებით, იურიდიული დახმარების სამსახური გეგმავს საზოგადოებრივ ადვოკატთა გადამზადებას პატიმრობის ახალი კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

# იურიდიული კლინიკები 7.

2009 წელს საინტერესოდ განვითარდა იურიდიული კლინიკების პროექტი, რომელიც „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ ფინანსური მხარდაჭერით 2008 წლის ნოემბრიდან ხორციელდება. იურიდიული კლინიკების პროექტი იურიდიული დახმარების ბიუროებში პარტნიორი უნივერსიტეტების სამართლის მაგისტრატურის სტუდენტების სტაჟირებას გულისხმობს. 2009 წლის პირველ ნახევარში თბილისის, იმერეთი-ქუთაისისა და აჭარის იურიდიული დახმარების ბიუროებში სტაჟირება თბილისის ივ. ჯავახიშვილის, ქუთაისის ა. წერეთლის და ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების სამართლის მაგისტრატურის 27-მა სტუდენტმა გაიარა. აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმების თანახმად, იურიდიული კლინიკა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამის ნაწილი გახდა და მასში მონაწილეობა სტუდენტებს შესაბამის კრედიტებად ეთვლებოდათ.

იურიდიული კლინიკის პროგრამის ფარგლებში სტაჟიორებმა გაიარეს თეორიული კურსი, რომელიც პირთან მუშაობის, ადვოკატის უნარ-ჩვევებისა და სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების საკითხებს მოიცავდა. სტუდენტებს საზოგადოებრივი ადვოკატების ხელმძღვანელობით, ბიუროს დაცვის ქვეშ მყოფებთან ურთიერთობის შესაძლებლობა ეძლეოდათ. ისინი ამზადებდნენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, ასევე ახორციელებდნენ ვიზიტებს სასამართლოში, პროკურატურაში, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა და სხვა ორგანოებში.

2009 წლის ნოემბრიდან თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში მოქმედმა იურიდიულმა კლინიკებმა სტაჟიორთა ახალი ნაკადი მიიღეს. თბილისის იურიდიულ კლინიკაში ჩარიცხული სტუდენტებისათვის ლექციები იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ და მონიტორინგისა და ანალიზის სამმართველოს იურისტებმა – გიორგი გიორგაძემ, მელიტონ ბენიძემ და ირაკლი შონიამ წაიკითხეს.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული კლინიკის პროექტმა, როგორც იურიდიული დახმარების სამსახურში მომავალი თანამშრომლების შერჩევის საშუალებამ, პირველი შედეგებიც მოიტანა. 2009 წლის ივნისიდან თბილისის იურიდიული კლინიკის სტაჟიორი – ჯაბა უსენაშვილი იურიდიული დახმარების სამსახურის მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის კოორდინატორად დაინიშნა, აჭარის იურიდიული კლინიკის სტაჟიორი – მამუკა ზოიძე კი საზოგადოებრივ ადვოკატად დასაქმდა.

**ბატონმა ჯაბა უსენაშვილმა სტაჟირება იურიდიული დახმარების სამსახურის თბილისის ბიუროს ბაზაზე მოქმედ იურიდიულ კლინიკაში გაიარა.**

– მიუხედევად იმისა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სტაჟირება რამდენიმე ორგანიზაციაში შემოგვთავაზა, ჩემი არჩევანი თავიდანვე იურიდიული დახმარების სამსახურის კლინიკაზე შეჩერდა, ვინაიდან ეს პროექტი გვთავაზობდა მართლმსაჯულების პროცესში უშუალო მონაწილეობას, რაც თეორიული ცოდნის რეალიზაციისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების საუკეთესო შესაძლებლობას გვაძლევდა. დღევანდელი გადმოსახედიდან შემიძლია თამამად ვთქვა, რომ იურიდიული კლინიკების პროექტი მართლაც წარმატებული აღმოჩნდა, ვინაიდან ის სრულად პასუხობს სამართალმცოდნეობის მაგისტრანტების, ანუ მომავალი პრაქტიკოსი იურისტების მოთხოვნილებებს.

იურიდიული კლინიკის პირველი ეტაპის წარმატებით დასრულების შემდეგ კლინიკის სტაჟიორებთან გასაუბრების შედეგად დავინიშნე მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის კოორდინატორად. ეს საქმიანობა იმაზე ბევრად საინტერესო აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდი. იურიდიულ საკითხებთან ერთად, საქმიანობა მიწევს მენეჯმენტის სფეროში, რაც ჩემთვის სასიამოვნო და ამასთანავე საპასუხისმგებლო სიახლეს წარმოადგენს. დამევალა რეესტრის ადმინისტრირების მექანიზმების ჩამოყალიბება, და მათი შემდგომი სრულყოფა, რაც ჩემთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენდა. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო, რომ ამ სამსახურის ფარგლებში ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს სხვადასხვა პროფესიის თანამშრომლებთან, რაც ასევე საინტერესო გამოცდილების შეძენის საშუალებას იძლევა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო იურიდიული დახმარების სამსახურს ამ შესაძლებლობისათვის.

## PR-მენეჯმენტი

უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ საზოგადოების ინფორმირება იურიდიული დახმარების სამსახურის 2009-2013 წლების სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტია. 2009 წელს ამ მიმართულებით არაერთი ღონისძიება განხორციელდა.

გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით გაიმართა იურიდიული დახმარების სამსახურისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრის მიზანი იყო იურიდიული დახმარების სამსახურის პიარ-სტრატეგიის განხორციელების ხელშეწყობა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტთან კოორდინაციის გაუმჯობესების გზით.

რეგიონულ მედიასთან ურთიერთობების განვითარების მიზნით იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებისა და საკონსულტაციო ცენტრების იურისტებისათვის ჩატარდა. სემინარი მედია კომუნიკაციის თემაზე. სემინარის ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის რეგიონული ოფისების წარმომადგენლები გაეცნენ მედიასთან ურთიერთობებისა და პრეზენტაციების მომზადების ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მედიასთან ურთიერთობების სტრატეგია, ინტერვიუ, ჟურნალისტის მოლოდინი, ეფექტური პრეზენტაციის მომზადება, მედიასთან მუშაობის მეთოდები და სხვა.

## 6 ათასზე მეტი მომხმარებელი WWW.LEGALAID.GE-ზე

იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდი www.legalaid.ge 2009 წლის იანვრიდან ამოქმედდა. ვებგვერდი ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა და მომხმარებელს სამართლებრივი დახმარების შესახებ სრულ ინფორმაციას აწვდის. ვებგვერდზე განთავსდა იურიდიული დახმარების ბიუროებისა და საკონსულტაციო ცენტრების კოორდინატები, პუბლიკაციები, მიმდინარე და განხორციელებული პროექტები, ასევე სტატისტიკური ინფორმაცია. ვებგ-ვერდი აღიჭურვა ონლაინ კონსულტაციის ფუნქციით, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს უმოკლეს ვადაში შეუძლიათ. კვალიფიციური იურისტისგან პასუხების მიღება.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ვებგვერდს 6 ათასზე მეტი მომხმარებელი გაეცნო საიტის ვიზიტორთა რაოდენობა მზარდი დინამიკით ხასიათდება.




## სახალხო დიალოგი

2009 წელს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო და იურიდიული დახმარების სამსახური „სახალხო დიალოგში“ ჩაერთვნენ. „სახალხო დიალოგის“ წარმოება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტმა საპარლამენტო დებატების დროს დაავალა. მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით „სახალხო დიალოგის“ პროცესს კოორდინირებას მინისტრები დავით ტყეშელაშვილი და დიმიტრი შაშკინი უწევდნენ.

დიმიტრი შაშკინი  და იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი – ირაკლი კობიძე „სახალხო დიალოგის“ ფარგლებში რეგიონებს ესტუმრნენ. ისინი მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს, საგარეჯოს რაიონის სოფლების – კაკაბეთისა და შიბლიანის მოსახლეობას, ასევე შაუმიანში, კოდასა და თბილისის ზღვაზე სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ. გარდა ამისა, მინისტრი მარნეულის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მუშაკებს, სოფლების რწმუნებულებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრების დროს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტები მოსახლეობას უფასო სამართლებრივ კონსულტაციებს უწევდნენ.

## ანგარიში ხალხს

თუკი „სახალხო დიალოგის“ ამოცანას მოსახლეობის პრობლემების შესწავლა წარმოადგენდა, საქართველოს მთავრობის მასშტაბური აქცია „ანგარიში ხალხს“ სამინისტროებისა და სხვა უწყებების საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ითვალისწინებდა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წარმომადგენლები შეხვდნენ თბილისის, რუსთავის, თელავის, ქუთაისის, ზუგდიდისა და ახალქალაქის მაცხოვრებლებს და მათ ის რეფორმები გააცნეს, რაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სფეროებში იგეგმება. ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს იურიდიული დახმარების სამსახურის იურისტებმაც, რომლებმაც ხალხს სამართლებრივ თემებზე შედგენილი ბუკლეტები დაურიგეს და უფასო იურიდიული დახმარების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. მოსახლეობას საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე შემუშავებულ საინფორმაციო მასალებს, რომლებიც გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით დამზადდა.

## ღონისძიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების ვიზიტები იუსტიციის სამინისტროში

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი სტრუქტურების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით 2009 წლის განმავლობაში დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის გაცნობითი ვიზიტები მოეწყო. სხვადასხვა დროს გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის (NORLAG), ევროკომისიის, Human Dynamics-ის, უნგრეთის, ჰოლანდიისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოების წარმომადგენლები მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, იმერეთი-ზესტაფონის, იმერეთი-ქუთაისის, სამეგრელო-ზუგდიდისა და თბილისის იურიდიული დახმარების ბიუროებს სტუმრობდნენ. გაცნობითი შეხვედრების ფარგლებში იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი – ირაკლი კობიძე უცხოელ სტუმრებს იურიდიული დახმარების სისტემის ფუნქციონირებას ადგილზე აცნობდა, ხოლო ბიუროს უფროსები კი მათ სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფდნენ.

# 9. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ

არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციის მიზნით, იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ  თბილისის №1, №55 და №180 საჯარო სკოლების უფროსკლასელი მოსწავლეებისთვის მართლმსაჯულებისა და ადამიანის უფლებების თემებზე ლექციები ჩაატარა. ირაკლი კობიძემ დეტალურად ისაუბრა დანაშაულის, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, მართლმსაჯულების სისტემის, დაკავებული ეჭვმიტანილისა და მოწმის უფლებების, ასევე უდანაშაულობის პრეზუმფციის თემებზე. ლექციები კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოსწავლეებს დაურიგდათ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე მომზადებული  ბუკლეტები.

იურიდიული დახმარების სამსახურის ყურადღების მიღმა არც არასრულწლოვანი პრობაციონერები დარჩენილან. პრობაციის ეროვნული სამსახურისა და იურიდიული დახმარების სამსახურის ერთობლივი ინიციატივით ჩატარდა 2 სემინარი. სემინარებს მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი მასპინძლობდა. ღონისძიებებს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი – ირაკლი კობიძე უძღვებოდა. მან ისაუბრა არასრულწლოვანი პრობაციონერების უფლება-მოვალეობების, დანაშაულის ტიპების, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის და უფასო იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობების შესახებ. პირობით მსჯავრდებულებს სამართლებრივ თემებზე მომზადებული ბუკლეტებიც დაურიგდათ.

30-31 ოქტომბერს, სოფიაში, „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ (OSI) ორგანიზებით, იურიდიული დახმარების საერთაშორისო ქსელის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, მოლდოვას, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და მონღოლეთის უფასო სამართლებრივი დახმარების მიმწოდებელი ორგანიზაციებისა და „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ წარმომადგენლები დაესწრნენ. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო აღნიშნულ ქვეყნებში უფასო იურიდიული დახმარების სისტემების რეფორმების ხელშეწყობა, გამოცდილების გაზიარება და შემდგომი თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა.

ორდღიან შეხვედრას, სხვა მოდერატორებთან ერთად, „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ (OSJI) ბუდაპეშტის ოფისის დირექტორი ზაზა ნამორაძე უძღვებოდა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა სისხლის სამართლის საქმის საწყის ეტაპზე ადვოკატის ხელმისაწვდომობის საკითხი და წარმოდგენილ ქვეყნებში უფასო იურიდიული დახმარების მიწოდების მოდელები განიხილეს. გარდა ამისა, სტუმრები ადგილზე გაეცნენ ბულგარეთის იურიდიული დახმარების ეროვნული ბიუროს საქმიანობას.

გამოცდილების გაზიარების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორმა ირაკლი კობიძემ და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ (OSGF) კანონის უზენაესობის პროგრამის მენეჯერმა თამარ ქალდანმა იურიდიული დახმარების სამსახურის საქმისწარმოების კომპიუტერული პროგრამის „ქეის ბანკის“ პრეზენტაცია გამართეს. აღნიშნული პროგრა-

**„ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ (OSJI) ბუდაპეშტის ოფისის დირექტორი, ბატონი ზაზა ნამორაძე**

**საქართველოს გარდა, „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივა“ (OSJI) კოორდინირებას აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყნის იურიდიული დახმარების სისტემების რეფორმის პროცესსაც უწევს. საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას, ლიტვისა და სხვა ქვეყნების იურიდიული დახმარების სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა რამდენიმე შეხვედრა, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის რეფორმების განხორციელების პროცესში თანამშრომლობის განვითარებას. როგორ გესახებათ ეს თანამშრომლობა მომავალში და რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული უფასო იურიდიული დახმარების მოდელი, როგორც ერთ-ერთი წარმატებული რეფორმის მაგალითი?**

– თითოეული ქვეყნის სისტემა სათანადო სპეციფიურობით გამოირჩევა. თანაც ეს რეფორმები სულ 3-5 წლისაა. ამიტომ მათ მათ შორის მჭიდრო კავშირები გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ძალებით ახალი მიმართულებების შემუშავებისა და დანერგვის მიზნით მნიშვნელოვანია. გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ ამ თანამშრომლობის და ქსელის კოორდინირება და ამ პროექტის ეგიდით ჩა-

ვატარეთ პირველი შეხვედრა სოფიაში. იმედი მაქვს, რომ ერთ-ერთი შემდეგი შეხვედრა საქართველოში ჩატარდება – აქ არსებული საზოგადოებრივი ადვოკატურის მოდელი და ასევე საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამა განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს ამ ქსელში შემავალ ქვეყნებში.

**როგორ დაახასიათებდით იურიდიული დახმარების სამსახურისა და „ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივის“ მიმდინარე თანამშრომლობას და როგორ გესახებათ ეს თანამშრომლობა მომავალში?**

– იურიდიული დახმარების სისტემის წინაშე არსებული ყველა ამოცანის განხორციელება, შესაძლებელია მხოლოდ ეფექტური იურიდიული დახმარების სამსახურის არსებობის პირობებში. ამ სამსახურმა ძალზედ წარმატებულად დაიწყო თავისი საქმიანობა და დარწმუნებული ვარ, რომ ის ეფექტურად გაართმევს თავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს და გამოწვევებს, როგორიცაა იურიდიული დაცვის განხორციელება დაკავების მომენტისთანავე ყველა საქმეზე, ე.წ. მორიგე ადვოკატის სქემის ფარგლებში, იურიდიული საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურების ქსელის შექმნა ქვეყნის მასშტაბით, რომ მოქალაქეებს გაუადვილდეთ ამ მომსახურებით სარგებლობა.

რეგიონული თანამშომლობის ქსელის ფარგლებში ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ იურიდიული დახმარების სამსახურთან საქართველოში. ჩვენი მხარდაჭერით შეიქმნა და ინერგება საქმის წარმოების კომპიუტერული პროგრამა. ასევე ძალზედ მნიშვნელოვნად მესახება საუნივერსიტეტო იურიდიული კლინიკების მიმართულება, რომლის საშუალებითაც მზადდება მომავალი კადრები იურიდიული დახმარების სფეროში მუშაობისათვის და სტუდენტებს საშუალება ეძლევათ შეიძინონ მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, უკეთ გაიაზრონ ადვოკატის როლი სოციალური სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის დაცვის თვალსაზრისით.

მა, როგორც OSJI-სა და OSGF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი, ადაპტირდება და იურიდიული დახმარების საერთაშორისო ქსელის ქვეყნებისათვის ხელმისაწვდომი გახდება.

შეხვედრის მონაწილეებმა იურიდიული დახმარების საერთაშორისო ქსელის ერთიანი ვებგვერდის პროექტი განიხილეს. ვებგვერდზე განთავსდება ინფორმაცია საქართველოს, უკრაინის, ლიტვის, მოლდოვას, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და მონღოლეთის უფასო იურიდიული დახმარების სისტემების შესახებ. აქვე წარმოდგენილი იქნება სასარგებლო რესურსები, რომლებიც ხელს შეუწყობს წევრ ქვეყნებში იურიდიული დახმარების მიმწოდებელი ორგანიზაციების მენეჯმენტისა და ადვოკატების პროფესიულ განვითარებას და შემდგომი რეფორმების განხორციელებას.

## ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲡ (UNDP) ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

2009 წელს გაეროს განვითარების პროგრამამ და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ ახალი პროექტი დაიწყეს.

ორწლიანი პროექტი გულისხმობს სამინისტროს ფარგლებში არსებული იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარებას. დაგეგმილია უფასო იურიდიული დახმარებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რაც ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იურიდიული დახმარების ბიუროსა და საკონსულტაციო ცენტრის გახსნას, ასევე სამსახურში ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვის სტრატეგიის შემუშავების ხელშეწყობას. გარდა ამისა, იურიდიული დახმარების სამსახურის მენეჯმენტის დახვეწის მიზნით ჩატარდება ტრენინგები და სემინარები. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა უფასო სამართლებრივი დახმარების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების საკითხს, რაც რეგიონულ მედიასთან თანამშრომლობის გაღრმავებით განხორციელდება.

**გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში, ბატონი ჯეიმ მაკგოლდრიკი:**

**იურიდიული დახმარების სამსახურისათვის გასული წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა UNDP-ის ორწლიანი პროექტის დაწყება, რომელიც იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერას ითვალისწინებს. რატომ ჩაერთო გაეროს განვითარების პროგრამა ამ პროექტის განხორციელებაში და რა შეფასებას მისცემდით 2009 წელს პროექტის ფარგლებში გაწეულ საქმიანობას? განსაკუთრებით ხომ არ გამოყოფდით რაიმე აქტივობას?**

– გაეროს განვითარების პროგრამა, როგორც საერთაშორისო საზოგადოების ნაწილი, მართლმსაჯულების უზრუნველყოფასა და იურიდიული დახმარების განვითარებას

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროგრესის ნაწილად მიიჩნევს. მე ვფიქრობ, რომ ზოგადად საერთაშორისო საზოგადოება და საქართველოს მთავრობა ამ საკითხს განიხილავს, როგორც ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონეს. ჩვენთვის იურიდიული დახმარების კომპონენტი და ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. მიგვაჩნია რომ ეს პროექტი და მთლიანად იურიდიული დახმარების სისტემა დემოკრატიული პროგრესისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერას, გაეროს განვითარების პროგრამა მომავალშიც გაარძელებს.

ბევრ ქვეყანაში არსებობს სოციალურად დაუცველი ფენა, რომელსაც ხელი უნდა მიუწვდებოდეს იურიდიულ დახმარებაზე. მთავრობამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ქვეყანაში რაც შეიძლება მეტ ადამიანს შეეძლოს უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობა. ჩვენ იურიდიული დახმარების სამსახურთან თანამშრომლობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ დავიწყეთ და ხელი შევუწყეთ შიდა ქართლში იურიდიული დახმარების ბიუროს საქმიანობას. ვფიქრობ, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ასეთი ტიპის დახმარების აღმოჩენა მნიშვნელოვანი იყო. ჩვენ ვატარებდით ტრენინგებს, რაც ასევე აუცილებელია. იურიდიული დახმარების სამსახურის ამოქმედება უდაოდ კარგია, მოსახლეობას სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს ამ სამსახურის შესახებ. იცოდეს თუ სად შეიძლება ისარგებლოს იურიდიული დახმარებით თავისი უფლებების დასაცავად.

**როგორ გესახებათ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსთან მომავალი თანამშრომლობა?**

– დიდი სამუშაო განხორციელდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან ერთად სამცხე-ჯავახეთში იურიდიული დახმარების ბიუროს ჩამოყალიბებისთვის. ოფისის მშენებლობა დასრულებულია და ახლა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია, რომ ამ სფეროს მთავრობა ყურადღებით ეკიდება. ეს რეგიონი ეროვნული უმცირესობებით არის დასახლებული და ასეთი მომსახურების შეთავაზება მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ასევე უნდა აღინიშნოს, იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატებისათვის ტრენინგების ჩატარების აუცილებლობა ისეთ საკითხებში, როგორიცაა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, ადვოკატირების, პრეზენტაციისა და ეფექტური კომუნიკაციის წარმოების უნარ-ჩვევები. ხალხი უნდა დარწმუნდეს, რომ ადვოკატების მხრიდან მიიღებს კვალიფიციურ რჩევა-დარიგებას.

გაეროს განვითარების პროგრამა იურიდიულ დახმარებას ძალზე ღირებულ მომსახურებად მიიჩნევს და მის მხარდაჭერას მომავალშიც გეგმავს. ჩვენ ვითანამშრომლებთ ყველა იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელიც ხელსშუწყობს რაც შეიძლება მეტი მოქალაქისათვის ხარისხიანი იურიდიული დახმარების გაწევას.

## ევროკავშირის პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“

ევროკავშირი განაგრძობს საქართველოში მართლმსაჯულების სისტემის განვითარების ხელშეწყობას. 2009 წლის 6 მაისიდან დაიწყო ახალი პროექტი – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში”, რომელსაც ავსტრიული საკონსულტაციო კომპანია Human Dynamics ახორციელებს.

პროექტი ორი ძირითადი კომპონენტისგან შედგება და მოწოდებულია დაეხმაროს საქართველოს იუსტიციის სისტემის მთავარი პრიორიტეტის – სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისა და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში. დაგეგმილია ექსპერტული დახმარება, ყოვლისმომცველი და გამჭვირვალე სექტორული მართვის სისტემის დანერგვისათვის.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსადმი და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მხარდაჭერა საქართველოს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მიზნით.

ამ კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს სოციალურად დაუცველი ყველა მოქალაქისათვის იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით პრიორიტეტებს წარმოადგენს: იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება სასწავლო პროგრამების განხორციელების გზით, ადამიანური რესურსების მართვის სისტემის განვითარება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

**საქართველოსა და სომხეთში ევროკომისიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ბატონი პერ ეკლუნდი:**

**ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი პარტნიორია პოლიტიკური, ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების სფეროში. 2009 წელს, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის განმტკიცების მიზნით, ევროკავშირი აქტიურად ჩაერთო სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროცესში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტიც იურიდიული დახმარების სამსახურის მხარდაჭერაა. როგორ შეაფასებდით ევროკავშირის აქტივობას, ამ მიმართულებით 2009 წელს განხორციელდა?**

– ევროკავშირი კანონის უზენაესობის ჩამოყალიბებისა და სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში მნიშვნელოვან მხარდაჭერას სთავაზობს საქართველოს. ჩვენ დაკვირვებით ვადევნებთ თვალს მიმდინარე პროცესებს, ექსპერტულ და მიზნობრივ დახმარებას ვთავაზობთ მათ. 2008 წლიდან ხორციელდება საქართველოს ბიუჯეტის პირდაპირ დაფინანსება სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ხელისუფლების მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების პირობით. როგორც წესი, მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა რთული პროცესია და მის განხორციელებას წლები სჭირდება. ის მოითხოვს მრავალი დაინტერესებული მხარის, მათ შორის სახელმწიფო დაწესებულებებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების ჩართვას. ევროკავშირის

მიზანია დაეხმაროს საქართველოს სისხლის სამართლის რეფორმირების ფარგლებში, რომ საქართველომ უკეთ შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და მიაღწიოს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

**როგორც ცნობილია, 2009 წელს იურიდიული დახმარების სამსახურმა ფუნქციონირება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სისტემაში განაგრძო. როგორ შეაფასებდით ამ მხრივ ევროკომისიასა და სამინისტროს შორის დაწყებულ თანამშრომლობას? რა მიღწევებს გამოყოფდით ამ კუთხით?**

– ევროკავშირს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთწლიანი გამოცდილება აქვს. უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა ადამიანის მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ქართველი ხალხისათვის უნდა უზრუნველყოს. ჩვენ მივესალმებით სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მიერ ადვოკატებისათვის მინიჭებულ პროფესიულ დამოუკიდებლობას, რადგანაც კანონის უზენაესობის პრინციპებზე აგებულ ნებისმიერ დემოკრატიულ საზოგადოებაში იურიდიული დახმარების სამსახურის არსი მიზნობრივი ჯგუფებისათვის დამოუკიდებელი და კომპეტენტური იურიდიული დახმარების მიწოდებაა.

**საქართველოში იურიდიული დახმარების თვისებრივად ახალი სისტემა სულ რამდენიმე წელია დაინერგა. თქვენი აზრით, რამდენად შეესაბამება ჩვენთან არსებული სამართლებრივი დახმარების მოდელი საქართველოს მოსახლეობის საჭიროებებს?**

– იურიდიული დახმარების სამსახური შედარებით ახალი ინსტიტუტია, რომე-

## პარტნიორები

ჩვენი პარტნიორები არიან: ევროკავშირი (Human Dynamics), გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს ბავშვთა ფონდი, ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისია, ამერიკის იურისტთა ასოციაცია, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ღია საზოგადოება – სამართლებრივი ინიციატივა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, იუსტიციის სასწავლო ცენტრი (GTZ, IRZ) და სხვ.

ლიც ხალხის ნდობით აღჭურვილ მოქმედ და კარგად ორგანიზებულ სამსახურად ჩამოყალიბდა. იმედი გვაქვს, რომ მართვის სათანადო პროცედურების, საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმისა და პროფესიული სწავლების სისტემის განვითარება რეფორმის შემდეგი ფაზის პრიორიტეტი იქნება, რაც ხელს შეუწყობს კანონის უზენაისობისა და თანასწორი მართლმსაჯულებისთვის მეტად მნიშვნელოვანი უწყვეტი პროგრესის უზრუნველყოფას.

**საქართველოში კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტი 30 თვეს გაგრძელდება და მისი მთლიანი ბიუჯეტი 2.7 მილიონ ევროს შეადგენს. რა ღონისძიებებია დაგეგმილი 2010 წელს იურიდიული დახმარების სამსახურის განვითარების კუთხით?**

– ევროკავშირი 2010-2011 წლებში გააგრძელებს იურიდიული დახმარების სამსახურის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ჩვენი საქმიანობა მიმართული იქნება მენეჯმენტის განვითარებასა და ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის ხარისხის ამაღლებისკენ. რასაც მივაღწევთ ტექნიკური დახმარებით, ექსპერტთა ჩართულობით და ტრენინგებისა და იურიდიული განათლების პროგრამების მეშვეობით. ეს ელემენტი მოიცავს: ტრენინგ-სემინარების ორგანიზებას იურიდიული დახმარებისა და რეესტრის ადვოკატებისათვის სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებზე; მონიტორინგისა და ანალიზის განყოფილების ქმედუნარიანობის გაუმჯობესებას, მაღალი ხარისხის იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფისთვის. ადამიანური რესურსის პოლიტიკისა და პრაქტიკის სისტემატიზაციას; იურიდიული დახმარების სამსახურის თაობაზე და მისი საქმიანობის სფეროს შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, და სხვა საქმიანობებს. ვიმუშავებთ, აგრეთვე, სამართლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე იურიდიული დახმარების ბიუროებს მიღმა, კერძოდ იურიდიული დახმარების სამსახურსა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე, რომ საქართველოში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას თანაბრად შეეძლოს მაღალი სტანდარტის იურიდიული მომსახურების მიღება.

# 12. ფინანსური აღგილი

იურიდიული დახმარების სამსახურისათვის სახელმწიფო ბიურჯეტიდან
გამოყოფილი სახსრები წლების მიხედვით (თანხა ლარებში)




დაფინანსება (თანხა ლარებში)



ხარჯები (თანხა ლარებში)



## იუსტიციის სახლი

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო

რუსთაველის გამზირი 30, თბილისი 0146, საქართველო
ტელ: (+995 32) 920055; 988493; 932090; ფაქსი: (+995 32) 988493
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

www.legalaid.ge


### თბილისის იურიდიული დახმარების ბიურო

თბილისი, სარაჯიშვილის გამზ. №1, მე-3 სართ.
ტელ: 8(32) 623324; 8(32) 622899; 8(95) 364410

### კახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

თელავი, ერეკლე II გამზ. №8
ტელ: 8(250) 71538; 8(95) 901707

### მცხეთა-მთიანეთის იურიდიული დახმარების ბიურო

მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №51
ტელ: 8(32) 513873; 8(95) 901705

### ქვემო ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

რუსთავი, ბათუმის ქ. №17,
ტელ/ფაქსი: 8(24) 157722; 8(95) 901706

### შიდა ქართლის იურიდიული დახმარების ბიურო

გორი, ხერხეულიძის ქ. №7
ტელ: 8(270) 78836; 8(95) 901704

### სამცხე-ჯავახეთის იურიდიული დახმარების ბიურო

ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. №17
ტელ: 8(91) 115571

### იმერეთის-ზესტაფონის იურიდიული დახმარების ბიურო

ზესტაფონი, წერეთლის ქ. №11
ტელ: 8(292) 40250; 8(95) 364441

### იმერეთის-ქუთაისის იურიდიული დახმარების ბიურო

სადგურის მოედანი №3, მე-4 სართ.
ტელ: 8(231) 53411; 8(95) 901700

### სამეგრელოს-ზუგდიდის იურიდიული დახმარების ბიურო

ზუგდიდი, კოსტავას ქ. №24
ტელ: 8(215) 53472; 8(95) 901702

### სამეგრელოს-ფოთის იურიდიული დახმარების ბიუროს

ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. №37
ტელ: 8(293) 43332; 8(95) 901703

### აჭარის იურიდიული დახმარების ბიურო

ბათუმი, წერეთლის შესახვევი №6
ტელ: 8(88 222) 31799; 8(95) 901701

### ოზურგეთის საკონსულტაციო ცენტრი

ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1, მე-3 სართ.
ტელ: 8(296) 73824; 8(95) 308850

### ამბროლაურის საკონსულტაციო ცენტრი

მის: ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №24
ტელ: 8(95) 308847


UNDP

გამოცემულია გაეროს განვითარების
პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული
მოსაზრებები არ ასახავს გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის ან გაეროს განვითარების
პროგრამის თვალსაზრისს.